№194 (12 264)
18 აგვისტო შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

2-3

გუშინ საქართველოს ჩემპიონატზე: ამერი-დილა 3:2. ერთი გოლი დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა. ცხინვალი-ბორჯომი 0:0. მგლები-მერანი 1:0. სამი მატჩი დღეს გაიმართება

ჭროფეო კალაძეს

გუშინ სილვიო ბერლუსკონის თასის მე-17 გათამაშებაში "მილანმა" 2:0 დაამარცხა "იუვენტუსი" და ტიტულს დაეუფლა. "მილანის" ფორვარდმა **ფილიპო ინძაგიმ** დუბლი მიითვალა და იტალიელ ჟურნალისტთაგან კიდევ ერთხელ დაიმსახურა სუპერპიპოს სახელი. ჩვენი თანამემამულე **კახა კალაძე** სასტარტო შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს. ქართველმა მცველმა უშეცდომოდ ითამაშა და "იუვენტუსელი" **ალესანდრო დელ პიერო** საიმედოდ "ჩაკეტა".

კენ შილდსი: საქართველო ჩვენით იამაყებს!

კენ შილდსი

21 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგთან გასვლითი შეხვედრით ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის შესარჩევ ციკლს განაახლებს. კენ შილდსის ხელმძღვანელობით ეროვნულმა გუნდმა ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ამის გარდა, ინგლისის საკმაოდ ძლიერ გუნდს ორჯერ ეთამაშა. მოსამზადებელი ციკლი, როგორც ყოველთვის, ნაყოფიერი იყო, თუმცა მთავარი მაინც ოფიციალური მატჩებია.

კენ შილდსს ამჯერად გუნდში რამდენიმე ახალწვეული ჰყავდა, ხოლო გარკვეული მიზეზების გამო ნაკრებმა თვენახევარი თავისი ორი გამოცდილი წევრის, ვლადიმერ ბოისასა და ნიკა ცქიტიშვილის გარეშე გაატარა. სამაგიეროდ, კარგ ფორმაშია ზაზა ფაჩულია, ტრავმიანობის მერე თითქმის ოპტიმალურ კონდიციებს მიუახლოვდა ეროვნული გუნდის კაპიტანი და ყველაზე გამოცდილი წევრი ვახტანგ ნაცვლიშვილი, ხოლო ტაირონ ელისი კი "ნაპოლიში" გატარებული ბრწყინვალე სეზონის მერე გუნდის ერთ-ერთი დამრტყმელი ძალაა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კენ შილდსმა განვლილი მოსამზადებელი ციკლი შეაფასა და ჩვენს მომავალ შეხვედრებზეც ისაუბრა.

- მისტერ შილდს, პირველ რიგში ნაკრების მიერ გამართული ტესტმატჩები შეაფასეთ. რა იყო დადებითი, უარყოფითი და რაზეა სამუშაო?

- დადებითი თავად ამ მატჩების გამართვა იყო, რადგან საკვალიფიკაციო შეხვედრებამდე გუნდის თითოეული წევრის მზადყოფნის შემოწმება იყო საჭირო. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება შენი მეტოქე ასეთ შეხვედრებში. ქვედადივიზიონელიცა და A დივიზიონის გუნდიც თამაშის საშუალებას ყველას აძლევს და აქედან გამომდინარე, მეტნაკლებად თანაბარ პირობებში ასპარეზობა უწევთ. ასე რომ, პრინციპში, დადებითი ეს იყო. უარყოფითს რაც შეეხება, ნაკრები დროულად მთელი შემადგენლობით ვერ შეიკრიბა, თუმცა ყველაფერი მოგვარებადია და იმედი მაქვს, რომ შესარჩევი მატჩებისთვის რა შემადგენლობაც არ უნდა გვყავდეს, მეტოქისთვის საშიში და უხერხული ოპონენტი ვიქნებით.

9

შვიდეული ცნობილია

ხაბარელმა ბაინდურაშვილი და ხანჯალიაშვილი ამჯობინა

ირაკლი თავაძე



გიორგი ბაინდურაშვილი

ჯუდოისტთა ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** მსოფლიო ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდის ბოლო ორი მონაწილეც დაასახელა - **გიორგი ბაინდურაშვილი** (81) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (აბსოლუტური). შეგახსენებთ, რომ 13-16 სექტემბერს ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში გასამართ პლანეტის პირველობაზე მონაწილეობის უფლება ადრევე მოიპოვეს **ნესტორ ხერგიანმა** (60), **ზაზა კედელაშვილმა** (66), **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90), **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100) და **ლაშა გუჯეჯიანმა** (+100).

იმის მიუხედავად, რომ ბაინდურაშვილმა არცთუ ისე წარმატებით იჭიდავა წინა კვირას გერმანულ ბრაუნშვაიგში ჩატარებულ ბოლო შესარჩევ ტურნირში, ნაკრების თავკაცმა მაინც მასზე შეაჩერა არჩევანი და არა გერმანული ტურნირის მომგებ **ლევან წიკლაურზე**. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან წიკლაური აქამდე დიდი შედეგებით არ გამოირჩეოდა და არც ბრაუნშვაიგის ტურნირი იყო იმდენად ძლიერი, ამ ერთი შეჯიბრებით მისთვის მსოფლიოზე ადგილი ენდოთ. წიკლაური აქამდე არც განიხილებოდა მსოფლიოზე წასვლის კანდიდატად, ხოლო ბაინდურაშვილი ბოლო ხანებში სტაბილურ სპორტსმენად ჩამოყალიბდა. წლეულს იგი მწვრთნელებმა ევროპის პირველობაზეც აჭიდავეს და მეშვიდე ადგილიც დაიკავა. უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ბაინდურაშვილმა გერმანული ტურნირი ჩააგდო - მეცხრეზე გავიდა. უბრალოდ, მისგან ხარისხობრივი თვალსაზრისით ელოდნენ ცოტა მეტს. ხაბარელი ფიქრობს, რომ იგი საბაზო შეკრებამ გადაღალა და გერმანიაში წასვლამდე ძალები ბოლომდე ვერ აღიდგინა. შეიძლება ითქვას, ამ წონაში კონკურენცია არა ბაინდურაშვილის კარგმა ჭიდაობამ, არამედ **საბა გავაშელიშვილის** ჩავარდნამ განაპირობა.- სწორედ ესენი იბრძოდნენ ბრაზილიაში წასასვლელად და რაკი შედარებით ახალგაზრდა გავაშელიშვილმა ფსიქოლოგიურ დაწოლას ვერ გაუძლო, ბაინდურაშვილს სერიოზული ფორა მისცა. ამანაც თავისი შანსი მეტ-ნაკლებად გამოიყენა და რიოში დებიუტიც ექნება.

10



ზვიად ხანჯალიაშვილი

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

19-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

ვირუსი და უპრეცედენტო ცერცვაძე

საქართველო-აზერბაიჯანი 0:1

გოლი: 0:1 სოლთანოვი (25)
17 აგვისტო. რუსთავი. "ფოლადი". 200 მაყურებელი

საქართველო: **დგებუაძე, ღვინიაშვილი, ქვრივიშვილი, შონია, ვაჩიბერაძე, ცუცქირიძე, ჩარგეიშვილი, მაისურაძე, ჯოხაძე (46. კვანტალიანი), ბეგლარიშვილი (56. ხოკერაშვილი), წულაძე.**
აზერბაიჯანი: **სადიგოვი (14. ცერცვაძე), ქარიმოვი, რახიმოვი, ვაჰაბზადე (20. მუსტაფაევი), ჯაბრაილოვი, მამედოვი, ქავადოვი (70. ახმადოვი), ჰაჩიევი (40. ქულიევი (63. ჰარვერდიევი), ალიევი (87. შიკიევი), ალმამადოვი (84. ბაირამლი), სოლთანოვი.**
გაფრთხილება: **ჯაბრაილოვი (53)**
არბიტრი: **გ. ვადაჭკორია**

გუშინ, რუსთავში გამართული ამხანაგური მატჩით საქართველოსა და აზერბაიჯანის 19-წლამდელთა ნაკრებებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მზადების მორიგი მოსამზადებელი ეტაპი დაასრულეს. შეგახსენებთ, რომ **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი საქართველოში ტურნეზე მყოფ აზერბაიჯანელ თანატოლებს ორიოდე დღის წინათ, 15 აგვისტოსაც გაეჯიბრა და მაშინ 3:1 მოიგო. მართალია, ჩვენი ჭაბუკები წინა შეხვედრასაც გარკვეული პრობლემებით შეხვდნენ, მაგრამ ჰაინცის გუნდის გუშინდელი მდგომარეობა წინასწარ ნამოსახლარი...

ორ ტრავმირებულ და ინფექციური ვირუსით მოწამლული ხუთ ფეხბურთელთან ერთად, თავად **ჰაინც ტოპმიოლერიც** მატჩამდე შეუძლოდ გრძნობდა თავს. ამას გარდა, ქართველებმა მეტოქე თამაშით მაინც დაჯაბნეს და გუშინაც უნდა მოეგოთ, რომ არა მეკარე მეკარე **ავთო ცერცვაძის** თავგანწირული და საიმედო თამაში.

დიახ, მართლაც რომ უცნაური და ვგონებ, უპრეცენდენტო ფაქტია - აზერბაიჯანელთა კარს მე-14 წუთიდან მოყოლებული, ჩვენი ნაკრების სათადარიგო მეკარე **ავთანდილ ცერცვაძე** იცავდა. რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ აზერბაიჯანელებმა საქართველოში სულ ორი მეკარე ჩამოიყვანეს. ერთი 15 აგვისტოს მატჩში დაშავდა, მეორე კი გუშინ და გუნდების შეთანხმების საფუძველზე, კარში ცერცვაძე ჩადგა. გაცნობებთ იმასაც, რომ ჰაინც ტოპმიოლერმა ავთო ცერცვაძე ნაკრებში მხოლოდ მატჩის წინა დღეს, დაშავებული **გიორგი მაკარიძის** ნაცვლად გამოიძახა. ეს შეცვლა კი აზერბაიჯენელთათვის ერთობ გასახარი აღმოჩნდა – სტუმრები ამ მოგებას სწორედ ცერცვაძეს უნდა უმადლოდენ.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, მთელი თამაშის განმავლობაში ქართველები დომინირებდნენ. სტუმრები კი ეპიზოდური კონტრიერიშებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, ცერცვაძის წყალობით აზერებმა გაუძლეს მასპინძელთა დაწოლას და ერთი კონტრშეტევით იხეირეს _კიდეც. 25-ე წუთზე **სოლთანოვმა** დასწრებაზე ითამაშა და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. ისე კი, გუშინ "ფოლადზე" სტუმართა კარში მინიმუმ 5 გოლი მაინც უნდა გასულიყო. **ჩარგეიშვილმა, ჯოხაძემ, ბეგლარიშვილმა, წულაძემ, ხოკერაშვილმა, ღვინიაშვილმა** და **კვანტალიანმა** არაერთხელ დაარღვიეს სტუმართა კართან სიმშვიდე. თუმცა, ცერცვაძე ოთხ ისეთ "მკვდარ ბურთს" გადაეფარა, რომ ტრიბუნიდან აპლოდისმენტები უხვად კი დაიმსახურა. ჩვენმა ჭაბუკებმა მეტოქე ბარე 25 წუთის განმავლობაში საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს, მაგრამ ცერცვაძე არ გატყდა. მატჩის მიწურულს კი ღვინიაშვილი ცერცვაძეს პირისპირ შეეყარა, მაგრამ სტუმართა ქართველმა კიპერმა კიდევ ერთხელ გარდაუვალი გოლისგან იხსნა სტუმრები.

"აზერბაიჯანელებთან ორივე მატჩის ჩატარება, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით მოგვიწია. ინფექციური ვირუსით მოწამვლის გამო, რამდენიმე ფეხბურთელი გუშინაც გამოგვაკლდა და ცერცვაძეს თუ არ ჩავთვლით, დღეს სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ ორი ფეხბურთელი გვყავდა. ოპტიმალური შემადგენლობა უკვე შერჩეული მყავს და ამ კონტინგენტთან აზერბაიჯანის ნაკრებს არანაირი შანსი არ აქვს...

რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, ყველამ ნახეთ, რომ ბურთის კონტროლი 70 პროცენტით ჩვენი იყო. რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ეს ფეხბურთია და ზოგჯერ უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, გოლს ვერ გაიტან. აზერბაიჯანელთა გუნდიდან ყველაზე ძლიერი და გამოკვეთილი ფეხბურთელი მეკარე ცერცვაძე იყო... ვგონებ, ამით ყველაფერი ნათქვამია", - მატჩის შემდეგ განაცხადა 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა.

დავით ცაბაძე
რუსთავი-თბილისი

დიდიე ოვონო

დინამო

რას ეჭყვიან ოვონოს?

ვენის "რაპიდთან" შეხვედრის პირველ ტაიმში "დინამოს" გაბონელი მეკარე **დიდიე ოვონო** დაშავდა. მან თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და **გიორგი ლორიამ** შეცვალა. ბუნებრივია, საინტერესოა, თუ რა სიმძიმის ტრავმა აქვს ოვონოს. როგორც შევიტყვეთ, მას ფეხი კვლავ გასიებული აქვს და დაშავებულ ადგილზე რენტგენს დღეს-ხვალ გადაუღებენ. პირველადი დაკვირვებით, ტრავმა მსუბუქი არ ჩანს და არც ისაა გამორიცხული, რომ გაბონელ კიპერს ოპერაციაც კი დასჭირდეს.

"რაპიდთან" მატჩში გუნდის კაპიტან **დავით დიღმელაშვილის** (მისი გვარი განაცხადში საერთოდ არ ყოფილა) უთამაშებლობამ გარკვეული კითხვები დაბადა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე **დუშან უჰრინმა** განაცხადა - დიღმელაშვილმა მითხრა, შეუძლოდ ვარ და განაცხადშიც ამიტომ არ იყო მისი გვარიო. ჩვენთან საუბარში იგივე აღნიშნა თავად დიღმელაშვილმა. "დინამომ" გუშინ აღდგენითი ვარჯიში გამართა, რომელშიც სხვებთან ერთად დიღმელაშვილიც მონაწილეობდა. დღეს უჰრინის გუნდს დასვენების დღე აქვს, ხვალიდან კი წვრთნას განაგრძობს.

დავით ცაბაძე

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. II ტური. მიმოხილვა

სულიკო ასიანია!

ამერი-დილა

3:2

17.08. თბილისი. ამერი
500 მაყურებელი

0:1 სადაღაშვილი (25. სულთანიშვილის პასით), 1:1 ტატანაშვილი (29. დოლიძის პასით), 2:1 ჩიკვილაძე (37. ჯელაძის პასით), 3:1 დავითაშვილი (55. ჯელაძის პასით), 3:2 ბ. ჩიტაია (68. შერმადინის პასით)

ამერი: ნადირაშვილი - მჭედლიშვილი (46. კობაური), დავითნიძე, დიდავა, ჩიკვილაძე - დოლიძე, ბოლქვაძე (71. დობროვოლსკი), დეკანოსიძე, ჯელაძე - დავითაშვილი, ტატანაშვილი (67. გოცირიძე)

სათადარიგოები: ქვაჩახია, კაკაშვილი, ა. ალავიძე, ბ. ცხადაძე

დილა: ილურიძე - მასურაშვილი (46. ბ. ჩიტაია), ლაცაბიძე, დ. ხანიშვილი, ბალაშვილი - ბალიაშვილი, სადაღაშვილი, ტლაშაძე, სულთანიშვილი (65. შერმადინი), შატაკიშვილი - სამადაშვილი

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, იჩქითი, ლომიძე, ი. თაყაძე

გაფრთხილება: კობაური (51), დ. ხანიშვილი (60), ჩიკვილაძე (69), გოცირიძე (77), შატაკიშვილი (87)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

სტენოგრამა

13. ჯელაძის ჩაწოდების შემდეგ, დოლიძემ ორიოდე მეტრიდან დაარტყა თავური. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბურთს კარისკენ მიმავალი გზა უნებლიეთ **ტატანაშვილმა** გადაუღობა.

15. დავითაშვილს ახლო მანძილიდან ილურიძემ აუღო.

25. 0:1 - **სულთანიშვილმა** კუთხური მოიპოვა, თავადვე ჩაანოდა, **სადაღაშვილმა** მცველებს დაასწრო და ეფექტურად გახსნა ანგარიში.

29. 1:1 - "ამერმა" პირველივე საპასუხო შეტევით გაათანაბრა, შედეგი **დავითაშვილი-დოლიძე-ტატანაშვილის** სწრაფმა სამსვლიანმა კომბინაციამ გამოიღო.

37. 2:1 - ჯელაძის ფლანგურ ჩაწოდებას **ჩიკვილაძე** გამოეხმაურა და ახლო მანძილიდან გაიტანა თავური. აქ დაცვაც ჩავარდა და ვერც **ილურიძემ** ივარგა.

39. დავითაშვილი მეკარეს ბურთს თავზე ეფექტურად უგდებდა, მაგრამ ილურიძემ კარგი რეაქცია გამოავლინა.

43. ჯელაძემ ჩაანოდა, ტატანაშვილმა თავით ააცილა.

48. **დოლიძემ** ბურთი კარისკენ "პარაშუტით" გაუშვა, მაგრამ გადააცილა.

55. 3:1 - ჯელაძის გამჭოლ გადაცემას დავითაშვილმა საჭირო მიმართულება მისცა და მეასე საუმაღლესიგო გოლი მიითვალა.

59. **სამადაშვილმა** "ამერის" მცველთა შეცდომით ვერ ისარგებლა და ბურთი კარს ააცილა.

68. 3:2 - **შერმადინმა** სადაღაშვილის პასი მიიღო, მისი დარტყმა **ნადირაშვილმა** არადამაჯერებლად მოიგერია, კარის ბადე **ჩიტაიამ** შეარხია.

70. "დილამ" გაიტანა, მაგრამ თანამაჯვმა თამაშგარე დაფიქსირა.

85. **გოცირიძემ** მეკარესთან პირისპირ გასვლა სცადა, მაგრამ მეტოქის მცველებს ვერ აჯობა.

89. გოცირიძემ დოლიძის ჩაწოდების შემდეგ თავით არაზუსტად დაარტყა.

გიზო ჯელაძე მარცხენა ფრთის ბატონ-პატრონი იყო

ქულები ამ მატჩშიც რომ დაეკარგა, "ამერის" საჩემპიონო ამბიციებს წყალი უკვე საფუძვლიანად შეუდგებოდა. გლდანელებმა, საბოლოო ჯამში, დამაჯერებლად და დამსახურებულად კი იმარჯვეს, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენამდე **გიორგი ჩიხრაძესა** და მისი შეგირდებს თავი ქუდში ნამდვილად ვერ ეენებოდათ დაგულებული. "დილამ" თამაშის უდიდეს ნაწილში მასპინძლებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და რომ არა რამდენიმე პრიმიტიული შეცდომა, შინ ხელცარიელი არ დაბრუნდებოდა.

"ამერმა" გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა. ჩიხრაძემ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და ამით გუნდს არც არაფერი წაუგია. თუმცა მოედანზე ამინდს კვლავ ის ფეხბურთელები ქმნიდნენ, რომლებმაც "ბელხატოვთან" მატჩში გამოიჩინეს თავი. ამათგან განსაკუთრებულად **ჯელაძე-დავითაშვილი-ტატანაშვილის** ტრიო უნდა გამოვყოთ.

"დილას" რაც შეეხება, გორელებს როცა ელემენტარული საარსებო პირობები აქვთ, ყოველთვის ახერხებენ უმაღლესში დარჩენას და იმის მიუხედავად, რომ გაისისთვის უძლიერესთა რიცხვი მცირდება, ერთი შეხედვით, **მამუკა ვარდოსანიძის** გუნდმა ეს ამოცანა ამ სეზონშიც უნდა გადაჭრას. "დილას" მწვრთნელი ვახსენეთ და მისი ხელი გუნდს აშკარად დაეტყო, განსაკუთრებით შიდაქართლელთა რიგიანი ფიზიკური მომზადება უნდა გამოვყოთ. ამ კომპონენტში "დილამ" "ამერს" ტოლი არ დაუდო, მისი მარცხის მთავარი მიზეზი მაღალი დონის შემსრულებელთა სიმცირე უფროა.

მატჩი კარგი საცქერი იყო, მაგრამ კიდევ უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თავსხმა წვიმას მოედანი რომ არ დაეტბორა. გორელებს თავისუფლად შეეძლოთ, დაწინაურების შემდეგ მეტოქისთვის არაფერი დაეთმოთ, მაგრამ დაცვაში ზედიზედ ორი უხეში შეცდომა დაუშვეს და ამერელებმა მოწინააღმდეგის ეს საჩუქარი შეირგეს.

"ამერმა" შესვენებამდე მშვიდად შეინარჩუნა უპირატესობა. მეორე ტაიმის დასაწყისში **სულიკო დავითაშვილმა** უმაღლეს ლიგაში თავისი მეასე გოლი გაიტანა და თითქოს ამით ყველაფერი დასრულდა, მაგრამ სტუმრებმა ბოლომდე იბრძოლეს და თამაშის გადარჩენის შანსიც გაიჩინეს, თუმცა დარჩენილ დროში გატანა "ამერს" უფრო შეეძლო. თასის მფლობელებმა სატურნირო მდგომარეობა გამოისწორეს, "დილისთვის" კი დიდი ტრაგედია არ მომხდარა, მთავარია, ვარდოსანიძის გუნდმა უშუალო კონკურენტებთან ივარგოს, ამის წინაპირობა კი გუშინ კიდევ ერთხელ გამოჩნდა.

გიორგი ჩიხრაძე ("ამერი"): "აქცენტი ფლანგურ შეტევებზე გავაკეთეთ, ძირითადში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გავამწესე, როტაციის პრინციპი ზოგჯერ საჭიროა და ვფიქრობ, დღევანდელმა ჩანაფიქრმა გაამართლა. 3:1-ზე ცოტა მოვდუნდით, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები დროულად მიხვდნენ, რომ საქმე ხელწამოსაკრავ მეტოქესთან არ ჰქონდათ".

მამუკა ვარდოსანიძე ("დილა"): *"თამაში კონტრშეტევებზე ავაგეთ და საბოლოო მიზანს მივაღწევდით კიდეც, დაცვას რომ არ დაეშვა ამდენი შეცდომა. მეორე ტაიმში დასაკარგი აღარაფერი გვქონდა, ბოლომდე ვიბრძოლეთ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, "ამერმა" გამარჯვება დაიმსახურა. მაღე რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელს დავიმატებთ და ყველა მატჩს ღირსეულად ჩავატარებთ".*

რჩეული
სულიკო დავითაშვილი

მისი მეასე უმაღლესლიგური ბურთი რომ არა, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად, ალბათ, უფრო **გიზო ჯელაძეს** დავასახელებდით, მაგრამ გუშინ "აბრეზას" დღე იყო. განა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გოლი გაიტანა, სხვა ეპიზოდებშიც ბევრი იშრომა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი დონის ფორვარდი საქართველოს ჩემპიონატში ძალიან ცოტაა. იგი ამ მოვლენას კარგა ხანს ელოდა და დამსახურებულად მიაღწია ამ მაჩვენებელს. ცნობისათვის, სულიკო მე-14 ფეხბურთელია, ვინც ასიან ნიშნულს უწია. მატჩის შემდეგ მას "ამერის" გენერალურმა მენეჯერმა **ვახტანგ ბზიკაძემ** სამახსოვრო თასი და საჩუქრები გადასცა.

ლევან ჯანეზაშვილი

სულიკო დავითაშვილი

www.kazbegi.com

გაზსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სუპერლიგის ჩემპიონატი

www.pfl.ge

უმაღლესი ლიგა. II ტური. მიმოხილ

სპარტაკი-ბორჯომი

0:0

17.08. გორი. თ. გურჯანაძე
100 მაყურებელი

სპარტაკი: კოდალაევი - კეტაშვილი, ხაჭიპერაძე, პარამონოვი, მამუკაშვილი -ხიდეშელი (55. ივანაშვილი), თარხნიშვილი, ჩირიკაშვილი, ბახტურიძე - ჯანელიძე (62. ძარია), დარბაიძე (52. მედოევი)

სათადარიგოები: ქვილითაია, გოგოხია, ცქვიტაია, ტატაევი

ბორჯომი: შეყრილაძე - ღონღლაძე, ლ. ჭელიძე, ლ. მერებაშვილი, აკობია, კ. ხანიშვილი (79. დევიძე) - მემარნიშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი (89. თედიაშვილი), გრიგალაშვილი - ყველაშვილი (64. შ. ჯიქია)

სათადარიგოები: ასაბაშვილი, ლომიძე, გოგიჩაიაშვილი, ქარქოზაშვილი

გაფრთხილება: ლ. მერებაშვილი (3), მემარნიშვილი (62), ბაბუნაშვილი (82)

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

სტენოგრამა

8. ხიდეშელი მარცხენა ფრთიდან უტევს, თუმცა მისი სახიფათო ჩაწოდება, ვიდრე თანაგუნდელი თავდამსხმელები გამოეხმაურებოდნენ, ხაჭიპერაძემ და პარამონოვმა მოიგერიეს.

36. ისევ მარცხენა ფრთიდან ამჯერად **დარბაიძე** შემოიჭრა სტუმართა საჯარიმოში, ორი მცველიც გააბითურა, მაგრამ შეყრილაძემ კუთხე შეამცირა და დარტყმაც სუსტი გამოდგა.

48. ჯარიმას დაახლოებით 25 მეტრიდან **ჭელიძე** ძლიერად ურტყამს, **კოდალაევი** იგერიებს, მაგრამ ხელიდან უვარდება და დამატებაზე ხუთიოდე მეტრიდან **ნერგაძე** აცილებს კარს.

51. **ბაბუნაშვილის** ძლიერი დარტყმა ხარიხასა და ძელის გადაკეთას ხვდება.

61. თანაგუნდელის ფლანგურ პასზე **ძარიას** მცირედი დააკლდა, რომ ახლო მანძილიდან გადაეგზავნა სტუმართა კარში.

77. **ჯიქია** შედის საჯარიმოში, ორიოდ მეტრში აბითურებს ორ მცველს, მაგრამ ძალიან ცუდად ურტყამს და მცველი იგერიებს, იქვე გაგრძელებისას ბორჯომელები მეკარის ბაქნის გასწვრივ ანოდებენ, ბურთი ნერგაძეს მისდის, თუმცა იგი ისევ აცილებს ახლო მანძილიდან.

იგრძენით თავი მასპინძლად!

გიორგი მემარნიშვილი

სეზონისწინ „სპარტაკის" მესვეურთა ნათქვამი, **დიმიტრი სანაკოევს** ფეხბურთი უყვარს და ჩვენს გუნდს ყურადღებას არ მოაკლებსო, მართალი გამოდგა. დროებითი ადმინისტრაციის მეთაური „თენგიზ ბურჯანაძეზე" მისი გუნდის სათასო მატჩსაც დაესწრო და გუშინაც დროულად მოვიდა შეხვედრაზე, მატჩის შემდეგ კი, ვიდრე გასახდელში ფეხბურთელები არ მოინახულა, არც წასულა. მისდა სამწუხაროდ, სანაკოევს ჯერჯერობით „სპარტაკის" გამარჯვება არ უნახავს, თუმცა ამ გუნდმა გორში თასზე ნათამაშებ მატჩზე უკეთ იასპარეზა და **კობა ჟორჟიკაშვილი** სამომავლოდ უკეთესად გამოსვლასაც გვპირდება.

ეს ჩემპიონატის პირველი საშინაო შეხვედრა იყო „სპარტაკისთვის" და სამხრეთი ოსეთის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის შემოქმედებაც ვნახეთ გახსნის ცერემონიალისას. მეორე ტაიმში „კოკოითი ფანდარასტის" ყვირილითაც შემოგვიერთდა რამდენიმე ახალგაზრდა, მაგრამ რაოდენობა სტადიონზე მოსული მაყურებლისა ძალიან მცირე იყო. იმისათვის, რომ „სპარტაკმა" ყველა მატჩში სტუმრად არ იგრძნოს თავი, ვფიქრობთ, „თენგიზ ბურჯანაძეზე" ლიახვის ხეობიდან გულშემატკივრების ჩამოყვანაა აუცილებელი.

ორივე გუნდის ხელმძღვანელობა ნაგვიანევ შეკრებასა და კარგ ფეხბურთელთა ნაკლებობას უჩივის. თამაშის არასასურველი დონეც მათი შეფასებით სწორედ ესაა.

საწყისი 20 წუთი „სპარტაკის" ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ მესამე წუთზე **გიორგი დარბაიძის** სწრაფი კონტრშეტევის გარდა, ამ გუნდმა ღირებული ვერაფერი შექმნა, სტუმრებმა კი პირველი დარტყმა, რითაც **კოდალაევი** საქმეში ჩართეს, სულაც მე-14 წუთზე მოახერხეს.

ოცი წუთის შემდეგ შხაპუნა წვიმა წამოვიდა და "ბორჯომმაც" მაშინ გამოაკეთა თავისი გარჯა. თამაში გათანაბრდა. საერთოდ კი აღსანიშნავია, რომ წვიმამდე არც ერთი გუნდის ფეხბურთელები არ მოქმედებდნენ მაღალ ტემპში, აი ძლიერი წვიმის წამოსვლის შემდგომ დგომას სირბილი ამჯობინეს.

ნომინალურ მასპინძელთა მხრიდან, იგივე დარბაიძე და **ხიდეშელი** აწუხებდნენ, ხშირად სტუმართა მცველებს, სადაც თავის მხრივ, დამაჯერებლად ირჯებოდნენ **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდები და მეტოქეთა შეტევების განეიტრალებას აუღელვებლად ახერხებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აქცენტი „ბორჯომს" კონტრშეტევებზე ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ მოულოდნელი ის გახლდათ, რომ მათ ამ ასპექტში გასულ სეზონში „დილის" დაცვაში საკმაო საიმედობით გამორჩეული **ამირან ყველაშვილის** იმედი ჰქონდათ. როგორც ჩანს, ამირანი მცველის ამპლუაში უფრო გამოსადეგი კაცია, მაგრამ სწორედ გამოსადეგი თავდამსხმელის ძებნაში ხაჩიძეს მისი გათავდამსხმელებაც მოუწია.

პირველ ტაიმში არა მხოლოდ „ბორჯომისა" და ყველაშვილის, „სპარტაკის" შემტევთა იერიშებიც სიმწვავის ნაკლებობას განიცდიდნენ. სიმწვავის ნაკლებობამ კი სახიფათო მომენტების ნაკლებობა მოიტანა.

სწორედ შესვენებისას შემოვიდნენ სტადიონზე „კოკოითი ფანდარასტის" აქტივისტები, ამ მოძრაობის ჰიმნი ააჟღერეს, საყვირებს ჩაბერეს და თითქოს ცხინვალის გუნდი მეტად უნდა დაგეშილიყო მეტოქის კარზე, მაგრამ პირიქით მოხდა. შესვენებიდან ბორჯომელები უფრო ჟინით გამოვიდნენ და რომ არა **ნერგაძის** საოცარი უიღბლობა, ვფიქრობთ, მოიგებდნენ კიდეც. ამ ფეხბურთელმა ჯერ 48-ე წუთზე **ლაშა ჭელიძის** დარტყმულისას გადმოვარდნილ ბურთზე დამატებისას ვერ ივარგა, შემდეგ კი 77-ე წუთზე **შოთა ჯიქიას** კარგი იერიში ვეღარ დაგვირგვინა გოლით. ნერგაძის პირველი სახიფათო მომენტის შემდეგ, „სპარტაკი" ბაბუნაშვილის დარტყმულსაც გადაურჩა და ჟორჟიკაშვილმა დროულად დატუქსა შეგირდები. ცხინვალელები ცოტა გონს მოვიდნენ. ხოლო თამაშის გათანაბრებაზე ზრუნვა, ისევე როგორც პირველ ტაიმში მოწინააღმდეგემ იგივე ღონისძიება, მათაც წარმატებით მოახერხეს.

სახიფათო მომენტებს ფეხბურთელები ვერ ქმნიდნენ და უხიფათო და თანაბარ თამაშს კი ლოგიკურად ყაიმი მოსდევს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე **ვლადიმერ ხაჩიძემ** მატჩი ჩვეულებისამებრ ორიგინალურად შეაფასა: *„თუ გოლის გატანა არ შეგიძლია, თამაშს აბა როგორ მოიგებ?! საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, ხარვეზები გვქონდა, წუნი იყო სხვადასხვა ასპექტში და მოკლედ, მოედანზე ნამდვილი ქართული ფეხბურთი ვნახეთ. გუნდი მცირე ხნის შეკრებილია და რამე განსაკუთრებულს ვერც მოვარხერხებდით".*

კობა ჟორჟიკაშვილი: *„ჩვენი პრობლემაც თითქმის იგივეა, ფეხბურთელებმა ახლა გაიცნეს ერთმანეთი. შეთამაშებაზე ლაპარაკიც არაა. თანდათან დავიხვეწებით და ვფიქრობ, მალე უკეთესადაც ავთამაშებით."*

რჩეული
გიორგი მემარნიშვილი

ძალიან ძნელი იყო ამ თამაშში საუკეთესოს გამორჩევა და სხვებთან შედარებით, საუკეთესოდ მემარნიშვილი მივიჩნიეთ, ვინაც სტუმართა გუნდის თამაშს კარგად წარმართავდა, ბურთებსაც არიგებდა და თანაგუნდელებს ომახიანად დარიგებებსაც აძლევდა საჭიროების შემთხვევაში. მემარნიშვილს ჟინიანად გარჯასთან ერთად ბურთის ოსტატური ფლობაც გამოარჩევდა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

დღეს. 17:30
მესხეთი-ზესტაფონი
ბათუმი-ოლიმპი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
დინამო-სიონი გადაიდო

მგლები-მერანი

1:0

17.08. ზუგდიდი. ცენტრალური
4 000 მაყურებელი

1:0 ჭედია (26. ჯანაშიას პასით)

მგლები: ივარდავა - ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე - ზ. ჯანაშია (62. გაბედავა), ვართაგავა (74. კუტალია), ჯოჯუა, ხუბუა, კრასოვსკი - ჭედია (46. ბაკარანძე).

სათადარიგოები: ტაბატაძე, წურწუმია, ქირია, ხუხია.

მერანი: თევდორაძე - ლოლაძე, კობიაშვილი, გიგაური, სარალიძე - ტყეშელაშვილი, ლომაშვილი, ნოზაძე, წიქარიშვილი, ზ. ავალიანი (64. ქემაშვილი) - გოჩაშვილი.

სათადარიგოები: სეფიაშვილი, მგალობლიშვილი, კილასონია, ჯანგიძე, კ. ავალიანი, კოვზირიძე.

გაფრთხილება: ხუბუა (44), კაკაბაძე (66), ექონია (90)

გაძევება: კობიაშვილი (68)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

სტენოგრამა

4. ჯანაშიას ნაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა **კაკაბაძემ** სახიფათოდ შეასრულა.

7. **კრასოვსკის** დარტყმული ბურთი სანტიმეტრებით ასცდა "მერანის" კარს.

20 . წიქარიშვილმა გარღვევისას, 2-3 მეურვე ჩამოიცილა, მაგრამ შორიდან მისი დარტყმული მცირედით ასცდა "მგლების" კარს.

26. 1:0 - ჯანაშია-ხუბუა-ჯანაშიას "კედელი", **ზამირმა** ერთი მეურვეც ჩამოიცილა, კარგად მოძებნა **ჭედია** და მანაც თანაგუნდელს გარჯა დაუფასა.

68. **კობიაშვილი** ჯარიმას ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. "მერანის" მცველმა თავი ვერ შეიკავა, არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და ნითელი ბარათიც დაიმსახურა.

ზუგდიდი ტრადიციულად საფეხბურთო ქალაქია და "მგლების" უმაღლეს ლიგაში აღზევებას იქაურები დიდი სიხარულით შეხვდნენ. მიმდინარე ჩემპიონატში "მგლებმა" პირველად გუშინ ითამაშა საშინაო არენაზე. გაცნობებთ იმასაც, რომ ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი რეკონსტრუქციის შემდეგ, ამ სამიოდე დღის წინათ საზეიმოდ გაიხსნა. გუშინდელ შეხვედრას "მგლების" საპატიო პრეზიდენტი, სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანი **კონსტანტინე კემულარიაც** დაესწრო. მასპინძლებმა

ზუგდიდში ფეხბურთი გამარჯვებით დაბრუნდა

გამარჯვების მოსაპოვებლად ყველაფერი გაიღეს და მიზანსაც მიაღწიეს.

ბესო შეროზიას გუნდმა აქტიურად დაიწყო თამაში. მასპინძლები მატჩის სადავეებსაც მალე დაეუფლნენ და ტაიმის შუაწელს ანგარიშიც გახსნეს. 26-ე წუთზე **ჯანაშიამ ხუბუასთან** კედელი გაითამაშა, გზად მეურვეც ჩამოიცილა, **ჭედიაც** კარგად მოძებნა და ამ უკანასკნელმაც მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

ზუგდიდელები ერთ გოლს არ დასჯერდნენ და ანგარიშის გაზრდაზე იწყეს ზრუნვა. ტაიმი მათი კარნახით ჩამთავრდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ სტუმრები გამოცოცხლდნენ. **თამაზ კოსტავას** ბიჭები უფრო გამართულად ათამაშდნენ, ეპიზოდებში ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ გამორჩეული საგოლე მომენტის შექმნა ვერ შეძლეს. მეორე ნახევარში თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა და ზუგდიდელებმა განახლებული არენის ნათლობა მოგებით აღნიშნეს.

მატჩის შემდეგ

დავით ეჯიბიშვილი (მერანი): *"პირველ რიგში, "მგლებს" უმაღლეს ლიგაში აღზევებას ვულოცავ. ამ გუნდმა დღეს ბოლომდე იბრძოლა და დამსახურებულადაც მოიგო. ჩვენი გუნდი ჩამოყალიბების პროცესშია. მალე უკეთ ავთამაშდებით და ეს შედეგებშიც აისახება".*

ბესო შეროზია (მგლები): *"პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ, მეორე ნახევარში კი სათანადოდ ვერ წარმოვჩნდით. თუმცა ტრავმირებულები მოგვიმრავლდნენ და ეს, ალბათ, ამითაც იყო განპირობებული".*

ნიკა გვათუა
ზუგდიდიდან

U 21. ევრო 2009. შესარჩევი ეტაპი

პოლონეთმა დაასახელა

21-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ჩვენს ჯგუფში, 5 ივნისის საქართველო-ესპანეთის მატჩით (0:1) დაიწყო. მომდევნო ორი მატჩი კი 22 აგვისტოს გაიმართება – ყაზახეთი რუსეთს უმასპინძლებს, ჩვენი გუნდი კი პოლონეთს სტუმრად ეთამაშება. **პეტარ სეგრტმა** პოლონეთთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებული შემადგენლობა უკვე დაასახელა და სია გაგაცანით კიდეც. ჩვენი 21-წლამდელები პოლონეთს ხვალ, 19 აგვისტოს, გამთენიისას გაემგზავრებიან. პოლონეთი-საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მატჩი 22 აგვისტოს კრაკოვში გაიმართება. შეხვედრას ებრაელი მსაჯები მოემსახურებიან. მთავარი არბიტრია **ჰაიმ იაკოვი**, თანამსაჯები **ერეზ ზატელმანი** და **შაბთაი ნაჩმიასი** იქნებიან. მეოთხე არბიტრი კი **მენეშ მასია** გახლავთ.

ჩვენს ნაკრებთან მატჩისთვის პოლონელებმა ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობა უკვე დაასახელეს. ეს ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

პიოტრ პოლშაკი (გკს კატოვიცე), **ადამ დანჩი** (გურნიკი), **მარიუშ პაველეცი** (გურნიკი), **ამადეუშ კლოდავსკი** (გროცლინი დისკობოლია), **რადოსლავ მაიევსკი** (გროცლინი დისკობოლია), **ცეზარი ვილკი** (კორონა), **იაკუბ რეეუნჩაკი** (ლეგია), **ვოიცეხ მორდჟაკოვსკი** (ლკს ლოძი), **ვიტოლდ ჩიშნი** (ოდრა), **პაველ ლინკა** (ოდრა), **არტურ მარჩინიაკი** (ბელხატოვი), **ბარტოშ ბიანკოვსკი** (საუთჰემპტონი, ინგლისი), **ლუკაშ იანოშკა** (რუხი ხოჟუვი), **პიოტრ კუკლიში** (ლოძი), **კშიშტოფ სოკალსკი** (ლოძი), **ადრიან ბიენკი** (ვისლა კრაკოვი), **პიოტრ გვიელონგი** (ვისლა კრაკოვი), **ადამ კოკოშკა** (ვისლა კრაკოვი), **პატრიკ მალეჩკი** (ვისლა კრაკოვი), **ადრიან მერეევსკი** (ვისლა პლოცკი), **რეჟემისლავ კოსოტი** (ზაგლებიე), **რეიმონ პავლოვსკი** (ზაგლებიე), **მარჩინ პიეტრონი** (ზაგლებიე).

პოლონელებთან მატჩის შემდეგ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 7 სექტემბერს ყაზახეთს უმასპინძლებს, მერე კი 11 სექტემბერს ესპანეთს სტუმრად ეთამაშება. ესპანეთი საქართველოს ქალაქ ალმუნეკარში უმასპინძლებს.

დავით ცაბაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

უეფას თასი

ქეცბაიას კერკეჩი კაკალი



უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები გუშინწინ ჩატარდა. ქართველ ქომაგთა ინტერესი თბილისის "დინამოსა" და ვენის "რაპიდის" მატჩის გარდა, რუმინეთისკენაც იყო მიმართული, სადაც ბრინჯაოს პრიზიორმა "კლუჟმა" კვიპროსის თასის მფლობელ "ანორთოსისს" უმასპინძლა. ამ წყვილში ფავორიტად მასპინძლები იყვნენ მიჩნეულნი, მაგრამ **თემურ ქეცბაიას** (შეგახსენებთ, რომ ქეცბაიას თანაშემწე მისივე თანამემამულე **სოსო ჭედიაა**) "ანორთოსისმა" მორიგი სიურპრიზი შესთავაზა ევროპას და სტუმრად 3:1 მოიგო. ეს ფაქტი ევროპული ფეხბურთის მამებსაც არ დაუტოვებიათ ყურადღების მიღმა და გუშინ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე მასალა გამოჩნდა, რომელიც ქეცბაიასა და მისი გუნდის მორიგ წარმატებას ეხება.

"კვიპროსული "ანორთოსისი" ევროტურნირებს კარგა ხანია, გაუშინაურდა. უფრო მეტიც, ეს გუნდი საფეხბურთო სამყაროს სიურპრიზებსაც ხშირად სთავაზობს. "ანორთოსისს" თავის დროზე, ევროტურნირებზე ისეთი კლუბები ჰყავს განბილებული, როგორებიც "ატლეტიკი" და "ლიერსია". 1994 წელს კი ფამაგუსტას გუნდმა "რეინჯერსი" გამოთიშა გათამაშებიდან. ამჟამად გუნდს ინგლისური "ნიუკასლისა" და ბერძნული აეკ-ის ყოფილი ფეხბურთელი თემურ ქეცბაია წვრთნის. ის წლების განმავლობაში ამავე გუნდში ასპარეზებდა და ცოტა ხნის წინ დაასრულა მოთამაშის კარიერა. ქეცბაიას გუნდი ძლიერი მეტოქეებისთვის "კერკეტი კაკალია"...

დაცვაში საიმედო თამაშისა და საგოლე მომენტების გამოყენებით "ანორთოსისმა" რუმინელები საკუთარ კედლებში გააწბილა. ულოგარის, ბოავენტურისა და სოსინის გოლების წყალობით, ქეცბაიას გუნდმა კარგი ფორა მოიპოვა და მომდევნო რაუნდს მიუახლოვდა", - წერს უეფას ოფიციალური ვებგვერდი.

ამავე სტატიაში თემურ ქეცბაიას სიტყვებიცაა მოყვანილი.

"ჩვენ გააზრებულად, ჩინებულად და თავდადებით ვითამაშეთ... რაც მთავარია, გუნდმა თავისი მებრძოლი ხასიათი წარმოაჩინა. მართალია, რუმინელებთან საპასუხო მატჩის წინ კარგი ფორა გვაქვს, მაგრამ განაღდებული არაფერია. საპასუხო შეხვედრაშიც რთული ბრძოლა მოგვიწევს", - აღნიშნა ქართველმა მწვრთნელმა.

დავით ცაბაძე

დავით სირაძე (მარცხნივ)

ქართველმა ფორვარდებმა ვერ იმარჯვეს

ბუნდესლიგის მეორე ტურში "კარლსრუეს" მწვრთნელმა **ბეკერმა** "ჰანოვერთან" მატჩის 78-ე წუთზე მოედანზე **ალექსანდრე იაშვილი** შეიყვანა, ქართველმა ფეხბურთელმა **კრისტიან ტიმი** შეცვალა, იმ დროისთვის მასპინძლები 1:2-ს აგებდნენ. სამწუხაროდ, იაშვილმა 12 წუთში ველარაფრის შეცვლა მოასწრო. "კარლსრუემ" ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია.

გუშინ მეორე ბუნდესლიგის მეორე ტურის მატჩში "ფრაიბურგმა" "პადერბორნს" უმასპინძლა. ქართული დაპირისპირება არ შედგა, მასპინძლებს **ოთარ ხიზანეიშვილი** მატჩის განაცხადშიც არ ჰყავდათ შეყვანილი, სტუმართა რიგებში კი **დავით სირაძემ** უკანდახეული ფორვარდის ადგილზე ითამაშა. სირაძეს გოლის გატანა მე-60 წამზევე შეეძლო, როცა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავით შესწვდა, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ქართველი ფორვარდი 34-ე წუთზე უკვე შორეული დარტყმით დაემუქრა მასპინძელთა კარს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, პირველი ეპიზოდი სტუმართა ყველაზე სახიფათო საგოლე მომენტი იყო მატჩში. "ფრაიბურგმა" პირველი მოგება 61-ე წუთზე ხორვატი **ივიცა ბანოვიჩის** პენალტით მოიპოვა - 1:0. დავით სირაძე **ჰოლგერ ფახმა** 78-ე წუთზე შეცვალა. "პადერბორნმა" ცუდად დაიწყო, კლუბს ჯერ ქულა არ აქვს. "შპორტალმა" სირაძეს 3,5 ქულა დაუწერა.

უკრაინის ჩემპიონატის მეექვსე ტური "ვორსკლასა" და "არსენალის" მატჩით დაიწყო. კიეველებმა ვერ შეძლეს ქულის მოპოვება, **გიორგი დემეტრაძე** 56-ე წუთზე შეცვალეს და ერთ წუთში "არსენალის" კარში **კრავჩენკომ** გამარჯვების გოლი გაიტანა - 2:1.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხიზანიშვილს არსენალი უწინასწარმეტყველეს

რაც სეზონი დაიწყო, **ზურაბ ხიზანიშვილი** "ბლექბერნ როვერსის" სამატჩო განაცხადში არ გამოჩენილა - არც პრემიერლიგაში, არც ინტერტოტოზე და არც უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში ფინურ "მიუპასთან".

არადა, ხიზანიშვილი საღ-სალამათია, საზარდულები უოპერაციოდ მოირჩინა და სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდიც არ ჩაუგდია, ბლექბერნელთა მენეჯერი **მარკ ჰიუზი** კი მაინც ფეხს ითრევს და ჩვენებურს არ ათამაშებს.

ხვალ პრემიერლიგის მესამე ტურია და "ბლექბერნი" ლონდონის "არსენალს" ხვდება. BBC-მ პრევიუ ამ მატჩზეც გამოაქვეყნა და მისი ვარაუდით ხიზანიშვილი სამატჩო განაცხადში უნდა იყოს.

დავით თავართქილაძე

არველაძეს ცხრიანი ერგო

ოპერაციის შემდეგ **შოთა არველაძე** სარეაბილიტაციო კურსს გადის. ისიც გაცნობეთ, რომ არველაძე მოედანზე დაბრუნებას ოქტომბრის დასაწყისისთვის შეძლებს. სიახლე კი ისაა, რომ მან მუდმივნომრიანი მაისურა აირჩია. როგორც გუშინ თავად ფეხბურთელმა გვითხრა, "ლევანტეში" 9 ნომრით ითამაშებს.

დავით თავართქილაძე

CDN ევროპის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დაკვრა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. III ტურის წინ

მეთექვსმეტეზედ ბოლო სამ წელიწადში

ენფილდზე დიდი მატჩია, ისტლენდზე დერბი და კიდევ რამდენიმე დებიუტი ამ უქმეებზე...

დღეს

ბირმინგემი-ვესტ ჰემი
ფულჰემი-მიდლსბრო
ნიუკასლი-ასტონ ვილა
პორტსმუთი-ბოლტონი
რედინგი-ევერტონი
ბოლტონი-დერბი
ვიგანი-სანდერლენდი

ხვალ

ბლეკბერნი-არსენალი
ლივერპული-ჩელსი
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ

"ენფილდი" ბოლო წლების კლასიკას, "ლივერპული"-"ჩელსის" უმასპინძლებს. ეს გუნდები ბოლო სამ წელიწადში 15-ჯერ (!) შეხვდნენ ერთმანეთს. მათ მატჩებში, როგორც წესი, ცოტა გოლი გადის. მეტოქეები უმთავრესად კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობენ და ყველაფერი მწვრთნელების ტაქტიკურ ჭიდილში წყდება. იყო მხოლოდ ერთი გამონაკლისი: ორი წლის წინანდელი 4:1 "ჩელსის" სასარგებლოდ, თანაც "ენფილდზე".

გასულ სეზონში ლონდონელებს ზედმეტად დაცვითი ფეხბურთის გამო აკრიტიკებდნენ. განვლილი ორი ტურით თუ ვიმსჯელებთ, "არისტოკრატებმა" თამაშის მანერა შეცვალეს. პირველ ტურში "ბირმინგემთან" საკმაოდ გახსნილი ფეხბურთი გააჩაღეს და 3:2 გაიმარჯვეს, მეორე ტურში კი "რედინგთან" შედარებით მოკრძალებულ ანგარიშს, 2:1-ს დასჯერდნენ. აღსანიშნავია, რომ "ჩელსი" ორივე შეხვედრას აგებდა და საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა. მართლა უარი თქვა თუ არა **ჟოზე მოურინიომ** ფრთხილ ტაქტიკაზე, ეს ხვალ გამოჩნდება.

"ლივერპულმა" ერთი მატჩი ჩაატარა და "ბირმინგემს" ბოლო წუთზე გატანილი გოლით (**ჯერარდი**) 2:1 მოუგო. ოთხშაბათს ის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე "ტულუზს" შეხვდა და ისევ გაიმარჯვა, 1:0. გოლი ახალწვეულმა **ანდრეი ვორონინმა** შეაგდო. **რაფა ბენიტესი** იმედოვნებს, რომ ვორონინი და **ფერნანდო ტორესი** არა ერთ ბურთს გაიტანენ. ეს გუნდს ქულების დაგროვებაში დაეხმარება. გასული სეზონი "ლივერპულმა" მესამე ადგილზე დაასრულა, მაგრამ ჩემპიონ "მანჩესტერს" მთელი 21 ქულით ჩამორჩა.

ახლა უშუალოდ დღევანდელ მატჩზე. უცნობია, დაეხმარება თუ არა "ლივერპულს" კაპიტანი **სტივ ჯერარდი**. ის ტულუზში დაშავდა. შეიძლება, ჯერარდს ტკივილგამაყუჩებელი გაუკეთონ და ისე ათამაშონ. **რაფა ბენიტესის** შემადგენლობის როტაციას გააგრძელებს. "ტულუზთან" მატჩის შემდეგ ძირითადში დაბრუნდებიან **ჯერმეინ პენანტი, დირკ კუიტი, ჩაბი ალონსო** და **დანიელ აგერი**. "ჩელსი" ტრავმების ნაკლებობას არ უჩივის. კარგი ამბავი ისაა, რომ სრული დატვირთვით ივარჯიშა **ჯონ ტერომ** და ხვალ, შეიძლება, ძირითადში ვიხილოთ.

კვირას კიდევ ერთი საინტერესო მატჩია: მანჩესტერული დერბი "ისტლენდზე". ბოლო წლებში "სიტისა" და "იუნაიტედის" დაპირისპირებას ინტრიგა აკლდა. მეტოქეთა შორის სხვაობა თვალშისაცემი იყო, მაგრამ ხვალ ინტრიგა სწორედ რომ საკმარისზე მეტი იქნება. **სვენ გორან ერიქსონის** შეგირდებმა ორიდან ორი თამაში მოიგეს და ჩემპიონატის ლიდერები არიან. "იუნაიტედმა" ორივე შეხვედრა ფრედ დაასრულა. თანაც დღეს ორი საუკეთესო ფეხბურთელი არ ეყოლება. **უეინ რუნის** ტრავმა აქვს და ორთვიან შვებულებაში იმყოფება. **კრისტიანო რონალდოს** კი "პორტსმუთთან" მატჩში მიღებული წითელი ბარათის გამო სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ხვალინდელი დერბის გარდა, მას "სანდერლენდსა" და "ტოტენჰემთან" მატჩებიც გაუცდება.

"სიტის" კარს ის **კასპარ შმაიხელი** დაიცავს, რომლის მამა **პეტერი** "იუნაიტედის" ლეგენდა იყო. "დერბისთან" ოთხშაბათის მატჩში დაშავებულმა **ელანო ბლუმერმა** ტრავმა მოირჩინა. ესე იგი, სვენს ძირითადი შემადგენლობის შეცვლა არ დასჭირდება. "იუნაიტედის" ორ დანაკლისზე უკვე მოგახსენეთ. იმასაც გეტყვით, რომ "ეშმაკებს" ტრავმების გამო **ლუის საა, ანდერსონი, გარი ნევილი** და **ოუენ ჰარგრივსი** ვერ დაეხმარებიან.

გათამაშების კიდევ ერთი ლიდერი "ევერტონი" "რედინგს" ესტუმრება. "ტოტენჰემი", რომელმაც მოულოდნელად ორიდან ორი მატჩი წააგო, "დერბი ქაუნთის" მიიღებს. ფანებს იმის გაფიქრებაც კი არ სურთ, რომ მათი საყვარელი გუნდი მეორე დებიუტანტთანაც ქულებს გაანიავებს. სხვათა შორის, "მამლების" თავდამსხმელმა **მიდომ** "მიდლსბროს" მიაშურა. ლონდონელებმა 6 მილიონი გირვანქა მიითვალეს. 24 წლის ეგვიპტელმა კი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და დღეს "ფულჰემთან" ითამაშებს. რივერსაიდელებმა ორი თამაში წააგეს. გარეთ საუთგეიტს ახალწვეულის იმედი აქვს.

ამ დღეებში კიდევ ერთი ტრანსფერი შედგა. "ნიუკასლის" ნახევარმცველი **კირონ დაიერი**, ბოლოს და ბოლოს, "ვესტ ჰემში" ჩაირიცხა. ეს გარიგება ორი კვირის წინ უნდა შემდგარიყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო კინაღამ ჩაიშალა. ფინანსური დეტალები უცნობია. "სანის ცნობით, "ჩაქუჩებმა" 6-8 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. დაიერის დებიუტიც დღეს შედგება: "ვესტ ჰემი" "ბირმინგემის" სტუმარია.

"ბლეკბერნის" ხელმძღვანელობა დღეს გადაწყვეტს, ითამაშებს თუ არა **ბენი მაკარტი** "არსენალთან". გასულ უქმეებზე სამხრეთაფრიკელს თავში უთავაზეს და გონება დაკარგა. "მეთოფეების" ლაზარეთს კიდევ ორი ფეხბურთელი შეემატა: **ტომაშ როსიცკი** და **ემანუელ ებუე**. დაშავებულები არიან **აბუ დიაბი, ემანუელ ადებაიორი** და **ჟილბერტო**. ივარჯიშა ახალწვეულმა **ედუარდო და სილვამ**. ხვალ ის სადებიუტო მატჩს გამართავს.

კრისტიანო რონალდომ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო

"ნიუკასლის" ბოსი **სემ ელერდაისი** "სენტ ჯეიმს პარკზე" პირველად გაუძღვება გუნდს. ჯორდები "ასტონ ვილას" ეთამაშებიან. განაცხადშია **მაიკლ ოუენი**. მან მთელი კვირის განმავლობაში ინტენსიურად ივარჯიშა, ერთი საკონტროლო მატჩიც გამართა და ტრავმას თავი აღარ შეუხსენებია. "ნიუკასლს" თავდამსხმელი ძალიან სჭირდება. გუნდს საკუთარ მოედანზე თებერვლის შემდეგ არ გაუტანია გოლი.

როი კინის "სანდერლენდი" "ვიგანს" ესტუმრება. მას ორ მატჩში ოთხი ქულა აქვს. ახალბედა თავდამსხმელმა **მაიკლ ჩოპრამ** კი ორივე თამაშში შეაგდო. "ბოლტონი" "პორტსმუთში" ჩავა. ელერდაისის გარეშე დარჩენილი ბოლტონელები უკვე ორჯერ დამარცხდნენ.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ევერტონი	2	2	0	0	5-2	6
2. მანჩესტერ სიტი	2	2	0	0	3-0	6
3. ჩელსი	2	2	0	0	5-3	6
4. სანდერლენდი	2	1	1	0	3-2	4
5. ნიუკასლი	1	1	0	0	3-1	3
6. არსენალი	1	1	0	0	2-1	3
7. ბლეკბერნი	1	1	0	0	2-1	3
8. ლივერპული	1	1	0	0	2-1	3
9. ფულჰემი	2	1	0	1	3-3	3
10. ვიგანი	2	1	0	1	2-2	3
11. პორტსმუთი	2	0	2	0	3-3	2
12. მანჩესტერ იუნ.	2	0	2	0	1-1	2
13. ბირმინგემი	2	0	1	1	4-5	1
14. რედინგი	2	0	1	1	1-2	1
15. დერბი ქაუნთი	2	0	1	1	2-3	1
16. ასტონ ვილა	1	0	0	1	1-2	0
17. მიდლსბრო	2	0	0	2	1-3	0
18. ბოლტონი	2	0	0	2	2-5	0
19. ვესტ ჰემი	1	0	0	1	0-2	0
20. ტოტენჰემი	2	0	0	2	1-4	0

დევიდ ბექჰემი

ინგლისი

ბექჰემი ნაკრებშია

მაკლარენმა გერმანიისათვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

სტივ მაკლარენმა გერმანიასთან ოთხშაბათის მატჩისათვის **დევიდ ბექჰემი** გამოიძახა. მწვრთნელის გუშინდელი განცხადების შემდეგ ეს სავსებით მოსალოდნელი გახლდათ. "ლოს ანჯელეს გელაქსის" ვარსკვლავმა ტრავმა თითქმის მოირჩინა, ოთხშაბათს კლუბის ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და გოლი შეაგდო. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ნაკრებში დაბრუნდნენ "პორტსმუთის" მეკარე **დევიდ ჯეიმსი** და ცენტრალური მცველი **სოლ კემპბელი**.

გამოძახებულია **სტივ ჯერარდიც**. "ლივერპულის" კაპიტანს ფეხის თითი აქვს მოტეხილი. ამიტომ მისი თამაში საეჭვოა. სტივი შეკრებას მაინც დაესწრება. განაცხადს მიღმა დარჩა "ბლეკბერნის" შემტევი ნახევარმცველი **დევიდ ბენტლი**. ვარაუდობდნენ, რომ ბენტლი **უეინ რუნის** შეცვლიდა. მაკლარენმა ეს ბიჭი იმიტომ დაიწუნა, რომ ზაფხულში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება არ ისურვა. ახალგაზრდული ნაკრებიდან ნიუკასლელ **სტივენ ტეილორს** უხმეს. სტივენმა ჰოლანდიის ტურნირზეც კარგად იასპარეზა და ივნისში, ალბანეთის წინააღმდეგ, ინგლისის B ნაკრებშიც გამოიჩინა თავი.

მაკლარენის სია 28 ფეხბურთელს მოიცავს. ისრაელსა და რუსეთთან შესარჩევი მატჩებისათვის შემადგენლობა ამ მოთამაშეებისაგან შეირჩევა. მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებამ ბევრი გააკვირვა. სექტემბრის მატჩებამდე **ჯონათან ვუდგეიტი** და **გარი ნევილი** გამოჯანმრთელდებიან. ამიტომ გაუგებარია, რა მოტივით არ უნდა გამოიძახონ ისინი. უფრო სერიოზული ტრავმები აქვთ ტოტენჰემელ **მაიკლ დოსონს, ლედლი კინგსა** და **აარონ ლენონს**. აგრეთვე მანჩესტერელ **უეინ რუნის**. დასასრულს, ინგლისელთა გაფართოებული შემადგენლობა:

მეკარეები - პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), სკოტ კარსონი (ასტონ ვილა);

მცველები - მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონ ტერი (ჩელსი); ეშლი კოული (ჩელსი), სოლ კემპბელი (პორტსმუთი), სტივ ტეილორი (ნიუკასლი), ნიკი შორი (რედინგი), ფილ ნევილი (ევერტონი);

ნახევარმცველები - დევიდ ბექჰემი (ლოს ანჯელეს გალაქსი), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), ჯო კოული (ჩელსი), შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი), მაიკლ ქერიკი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარეთ ბერი (ასტონ ვილა), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), კირონ დაიერი (ვესტ ჰემი), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი);

თავდამსხმელები - ალან სმიტი (ნიუკასლი), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), დარენ ბენტი (ტოტენჰემი), ენდრიუ ჯონსონი (ევერტონი), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი).

გერმანია

ხედირა და ტასკი ბუნდესგუნდში!

ლიოვმა ინგლისისთვის შემადგენლობა დაასახელა

ოთხშაბათს, "უემბლიზე" დიდი კლასიკაა - ინგლისის ნაკრები გერმანიას ამხანაგურად უმასპინძლებს. გუშინ, ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ინგლისში გაემგზავრება. აღსანიშნავია, რომ იოგიმ ეროვნულ ნაკრებში ორი ახალწვეული გამოიძახა. ესენი არიან, შტუტგარტელები, ნახევარმცველი **სამი ხედირა** და ცენტრალური მცველი **სერდარ ტასკი**. ლიოვი ინგლისთან ტრავმირებულებს, **მარსელ იანსენს, მიხაელ ბალაკს, ტორსტენ ფრინგსს, ტიმ ბოროვსკის, მარიო გომესსა** და **კლემენს ფრიტცს** ვერ დაიხმარს.

ბრემენელი მარჯვენა მცველის ნაცვლად, ლიოვმა "შალკეს" მარცხენა მცველ **კრისტიან პანდერს** უხმო - შესაბამისად, დაცვის მარჯვენა ფლანგზე ინგლისთან **ფილიპ ლამი** ითამაშებს. ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა პანდერს გერმანიის ნაკრებში იძახებენ. 23 წლის შალკელი 2004 წელს **იურგენ კლინსმანმა** აზიური ტურნესთვის გამოიძახა, მაგრამ მაშინ პანდერი დაშავდა და აზიაში გამგზავრება ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, 2005 წელს, ბუნდესგუნდისა და ბუნდესლიგის ნაკრების შეხვედრაში მოირგო ეროვნული ნაკრების მაისურა.

ამრიგად, დებიუტანტები მხოლოდ ხედირა და ტასკი არიან. ჯამში, საინგლისო შემადგენლობაში "შტუტგარტის" ოთხი ფეხბურთელია. **მარიო გომესს** ტრავმა ბოლომდე ჯერ არ მოუშუშებია და "უემბლიზე" ვერ იასპარეზებს. აღსანიშნავია, რომ ლიოვის სიაში, ყველაზე მეტი ფეხბურთელი "შტუტგარტიდანაა". რეკორდმაისტერ "ბაიერნიდან" კი, მხოლოდ სამი მოთამაშეა გამოძახებული: **შვაინშტაიგერი**, ლამი და **კლოზე**. სიახლეა თავდასხმაშიც: ლიოვმა მეორე ბუნდესლიგური "კიოლნის" ფორვარდი **პატრიკ ჰელმესი** გამოიძახა.

ბუნდესგუნდის ორი ახალწვეული: ხედირა და ტასკი

მეკარეები: იენს ლემანი (არსენალი), ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია).

მცველები: არნე ფრიდრიხი (ჰერტა), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), კრისტოფ მეტცელდერი (რეალი), კრისტიან პანდერი (შალკე), სერდარ ტასკი (შტუტგარტი).

ნახევარმცველები: რობერტო ჰილბერტი (შტუტგარტი), თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), სამი ხედირა (შტუტგარტი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

თავდამსხმელები: პატრიკ ჰელმესი (კიოლნი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), კევინ კურანი (შალკე).

ქართული ბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. II ტურის წინ

კლოზე და დორტმუნდი ჯოჯოხეთში

დიდი ფუფუნება: ორი სუპერჯაჭი ერთ დღეს!

გუშინ

კარლსრუე-პანოვერი

დღეს

შალკე-ბორუსია (დ)
ვერდერი-ბაიერნი
პერტა-შტუტგარტი
არმინია-აინტრახტი
ჰანზა-ნიურნბერგი
დუისბურგი-ვოლუსბურგი

ხვალ

ჰამბურგი-ლევერკუზენი
კოტბუსი-ბოხუმი

კითხვაზე, დაგვისახელეთ ბუნდესლიგის ორი ყველაზე საინტერესო მატჩი, გერმანულ ფეხბურთში კარგად გარკვეული გულშემატკივარი უმალ შემდეგ ორ შეხვედრას დაასახელებს: "ვერდერი"-"ბაიერნი" და "შალკე"-"დორტმუნდი". მიმდინარე სეზონის კალენდარში კი ისე დაემთხვა, რომ ეს ორი გრანდიოზული დაპირისპირება ერთ ტურში იმართება. დღეს, მეორე ტურში, ორივე თამაშია და ინტრიგა, რბილად რომ ვთქვათ, უდიდესია.

რურის დიდი დერბით დავიწყოთ. "შალკეს" რევანში სწყურია იმისთვის, რაც "ბორუსიამ" წინა სეზონის ბოლოსწინა ტურში დამართა. გაგახსენებთ: "შალკე" ლიდერობდა და იმისათვის, რომ ბოლო ტურისთვის პირველი ადგილი შეენარჩუნებინა, დორტმუნდიდან მინიმუმ ქულა უნდა წაეღო, მაგრამ მოსისხლე მტერთან ბრძოლა წააგო (0:2) და ლიდერობაც დაკარგა. ერთი სიტყვით, "შალკეს" ჩემპიონობა ზუსტად იმ გუნდმა დააკარგვინა, რომლისგანაც ალიყური გელზენკირხენელებს ყველაზე მეტად არ სიამოვნებთ. და დღეს მთელი გელზენკირხენი დიდი შურისძიებისთვის ემზადება.

შარშან, "ბორუსიამ" "ფელტინს არენა აუფ შალკეზე" 1:3 წააგო, მაგრამ მანამდე, ზედიზედ ოთხ შეხვედრაში არ მარცხდებოდა. დიდი შანსია, რომ დღეს **მირკო სლომკამ** ძირითად შემადგენლობაში **მესუთ იოზილის** ნაცვლად, **ივან რაკიტიჩი** ათამაშოს, ფეხბურთელი, რომელმაც "ხუმარები" შტუტგარტში წაგებას გადაარჩინა. BVB-ს მთავარ მწვრთნელ **თომას დოლისგან** კი, დღეს ყველაფერია მოსალოდნელი, რადგან პირველ ტურში განცდილი სამარცხვინო წაგების (1:3 დუისბურგთან) შემდეგ, დოლმა თქვა, შეიძლება, შემადგენლობა მთლიანად შევცვალოო. ერთი რამ ცხადია: ვერ ითამაშებს **ფილიპ დეგენი** და მას ალბათ **ფლორიან კრინგე** შეცვლის, რომელმაც "დუისბურგს" ის ერთადერთი, პრესტიჟის გოლი გაუტანა. დორტმუნდელი ქომაგები **ალექსანდერ ფრაის** დაბრუნებას ელოდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა აწამა "შალკე" გასული სეზონის ბოლოსწინა ტურში. მაგრამ გამოჯანმრთელებულმა შვეიცარიელმა თავდამსხმელმა ვარჯიშზე ისევ ტრავმა მიიღო და კვლავ ლაზარეთშია. ამრიგად, BVB-ს ისევ ლიდერის გარეშე მოუწევს თამაში.

დამძიმებული "ვერდერი" რეკორდმაისტერს ძალიან ცუდ დროს კი მასპინძლობს, მაგრამ ბრემენელებს "ბაიერნთან" მატჩისთვის მოტივირება არ სჭირდებათ. მით უმეტეს, რომ **მიროსლავ კლოზე** მიუნხენში გადასვლის შემდეგ ბრემენში პირველად ჩადის. მიროს "ვეზერშტადიონზე" ნამდვილი ჯოჯოხეთი ელის. "ვერდერი" გადაღლილია, რადგან შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მატჩი ჰქონდა, რომელიც რის ვაი-ვაგლახით მოიგო. თანაც, **თომას შააფს** საკადრო პრობლემები თავზესაყრელად აქვს: ვერ ითამაშებენ **ვომე, ფრიტცი, ტოშიჩი, ჰანტი, ოვომოიელა, ფრინგსი** და **ბოროვსკი**. ეს კი, ბრემენელთათვის უდიდესი დანაკლისია. **ოტმარ ჰიტცფელდი** კი ისევ იმ შემადგენლობას ათამაშებს, რომელმაც "ჰანზა" 3:0 გაანადგურა.

ამ ორი მატჩის ფონზე, "ჰერტასა" და ჩემპიონ "შტუტგარტის" შეხვედრა ჩრდილშია მოქცეული. თუმცა ექსპერტები დაუნდობელ ბრძოლას არც ვარაუდობენ - ფავორიტი "შტუტგარტია", რადგან "ჰერტა", როგორც გუნდი, ერთი დიდი კითხვის ნიშანია, სავარაუდო უარყოფითი პასუხით. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" მხოლოდ 30 000 ბილეთია გაყიდული. "ჰერტას" თავკაცი **ლუსიენ ფავრი** გასაჭირშია, რადგან საეჭვოა ლიდერების, **ჟილბერტოსა** და **პანტელიჩის** თამაში. "შტუტგარტს" კი **ილდირაი ბაშთურქი** გამოუჯანმრთელდა, რომელსაც შვაბურ კლუბში დებიუტი მაინცდამაინც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ექნება. ბერლინელი ფანები თურქ ნახევარმცველს კარგ დახვედრას ნამდვილად არ მოუწყობენ.

"არმინიისა" და "აინტრახტის" სახით ერთმანეთს ორი ისეთი გუნდი ხვდება, რომლებმაც პირველ ტურში იმარჯვეს და ახლა სამქულიანები არიან. ფრანკფურტელებს ლიდერი და კაპიტანი, თავდამსხმელი **იოანის ამანატიდისი** დაუშავდათ. ტრავმირებულია მისი მეწყვილე **ტაკაჰარაც**. ერთი კვირის წინათ მიუნხენში განადგურებული "ჰანზა" კი "ნიურნბერგს" მასპინძლობს, რომელმაც ასევე მარცხიანი სტარტი აიღო. ფრთაშეესხმული "დუისბურგი" კი, რომელმაც კვირას "ბორუსია" დაასაფლავა, "ვოლფსბურგს" ხვდება, სადაც მთელი კვირის განმავლობაში **ფელიქს მაგათის** რისხვა იგრძნობოდა. "ვოლფსბურგში" სათამაშოდ კი ორი ახალწვეული ემზადება: მცველი **შიმუნეკი,** რომელიც აუცილებლად ძირითადში იქნება და საყრდენი **ჟოსუე**, რომელსაც "დესპერტი ფელიქსი" ჯერ ალბათ მაინც სკამზე გაამწესებს.

მთავარი ინტრიგა: მიროსლავ კლოზე ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ

ხვალ, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** გამო გამწარებულმა "ჰამბურგმა" "ლევერკუზენს" უნდა უმასპინძლოს. ითამაშებს თუ არა ჰოლანდიელი, ეს დიდი გამოცანაა, რომელზეც პასუხი, ჯერ თვითონ რაფაელსაც არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ "ფარმაცევტებმა" "კოტბუსს" ვერ მოუგეს, **მიხაელ სკიბე** გუნდს არ შეცვლის. კვირის მეორე მატჩში კი, პირველი ტურის გმირი **ტომისლავ პიპლიცა** და კომპანია, "ბოხუმს" დაუხვდებიან.

კიკერის პროგნოზები: კარლსრუე-ჰანოვერი 2:1, შალკე-ბორუსია (დ) 3:1, ვერდერი-ბაიერნი 1:1, ჰერტა-შტუტგარტი 0:2, არმინია-აინტრახტი 2:0, ჰანზა-ნიურნბერგი 0:0, დუისბურგი-ვოლფსბურგი 2:2, ჰამბურგი-ლევერკუზენი 3:1, კოტბუსი-ბოხუმი 1:1.

ჯერალდ ასამოა მლადენ პეტრიჩისა და დიეგო კლიმოვიჩის ბორუსიას ემუქრება

2007 წლის 12 მაისი - ეს დღე "შალკესა" და დორტმუნდის "ბორუსიის" ქომაგებს არასდროს დაავიწყდებათ. "შალკეს" ქომაგებს იმიტომ, რომ ამაზე დიდი ტკივილი მხოლოდ ერთხელ, 2001 წელს განიცადეს, დორტმუნდელებს კი იმიტომ, რომ მაშინდელზე უფრო ბედნიერები მხოლოდ ერთხელ, 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ იყვნენ. 12 მაისს "დორტმუნდმა" "შალკე" ჯვარზე აცვა. დღეს მთელი გელზენკირხენი შურისძიებისთვის ემზადება. "ვერდერის" ქომაგებს, ის დღე, როცა მიროსლავ კლოზე "ბაიერნის" ხელმძღვანელებს საიდუმლოდ შეხვდა, ალბათ ოდესმე დაავიწყდებათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ბრემენულ კლუბში მისი ღირსეული შემცვლელი გამოჩნდება. მაგრამ დღეს, ბრემენი კლოზეს სიძულვილით ცხოვრობს - მირო ბრემენში, ბაიერნელის რანგში პირველად ჩადის. თუმცა "ვერდერის" ქომაგების შურისძიების ერთადერთი შანსი, კლოზესთვის სტვენა და გინებაა.

პირველი ცხელი წერტილი: გელზენკირხენი

"შალკეს" ფეხბურთელებს კარგად ახსოვთ ის ყველაფერი, რაც გელზენკირხენული კლუბის დორტმუნდში დაცემის შემდეგ მოხდა. ახსოვთ BVB-ს ფანების ტრანსფარანტი, რომელზეც ვერცხლის სინი იყო დახატული და რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: *"უყურეთ, ხელით კი ვერასდროს შეეხებით... სანამ დორტმუნდის "ბორუსია" არსებობს!"* იმ მატჩის შემდეგ, **კრისტოფ მეტცელდერმა**, მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** და **სებასტიან კელმა** სპეციალური მაისურები დაამზადეს, რომლებსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: *"შალკე" მკვდარია, ჩვენ ამით ვცოცხლობთ!"* 19 მაისს კი, როცა გელზენკირხენული კლუბი ისევ მხოლოდ ვიცე-ჩემპიონი გახდა, "აუფ შალკეზე" მოკალათებულმა, "დორტმუნდის" ინკოგნიტო ფანმა რაკეტა გაუშვა, რომელსაც შემდეგი შინაარსის ბანერი ჰქონდა მიბმული: *"გელზენკირხენი ჩემპიონობას ვერასდროს ეღირსება!"*

ეს ყველაფერი "შალკეს" ისე ამწარებს, რომ დღეს **ლევან კობიაშვილის** გუნდი წარმოუდგენლად მოტივირებულია. განსაკუთრებით მოტივირებული კი, ყველაზე ძველი შალკელი, **ჯერალდ ასამოა** გახლავთ. *"ყველას, ვინც მაშინ ხარობდა და იცინოდა, შაბათს სატირლად უნდა ჰქონდეს საქმე. ეს აქსიომაა! თითოეულ შალკელს შურისძიების სურვილი კლავს და რევანში აუცილებლად უნდა შედგეს!"* - აცხადებს ასამოა რურის რიგით 130-ე დიდი დერბის წინ.

"მაშინ, ყველაზე მეტად, მეტცელდერის, ვაიდენფელერისა და კელის საქციელმა მატკინა გული. ის, რაც ფანებს შორის ხდება, ფეხბურთელებს არ უნდა გადმოგვედოს, წინაალმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მოედანზე ფეხბურთი კი არ უნდა ვითამაშოთ, არამედ ხელჩართული ბრძოლა უნდა გავმართოთ და ერთმანეთი დავხოცოთ. არადა, ეს ფეხბურთია! იმედი მაქვს, რომ "დორტმუნდს" სეზონის სტარტს ჩავუმწარებთ, მაგრამ ეს ყველაფერი ნელ-ნელა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ჩემი აზრით, ორი გუნდისა და ორი ქალაქის ერთმანეთზე ასე გადამტერება არ შეიძლება, ეს არანორმალურია," - ეს კი **კევინ კურანის** სიტყვები გახლავთ.

"ჩვენ მაშინ მარცხი დავიმსახურეთ, მაგრამ ყველაფერი ის, რაც იმ თამაშს მოჰყვა, არაადამიანობა გახლდათ და მეტი არაფერი. ჩვენ არაფერი დაგვიწყებია. მთელი "შალკე" ერთ მუშტადაა შეკრული, რათა შური იძიოს," - ბრძოლაში, რა თქმა უნდა, **მირკო სლომკაცაა** ჩართული. ერთი რამ ფაქტია: "შალკე", ასეთი განრისხებული და გაბოროტებული, დიდი ხანია, აღარ ყოფილა.

მეორე ცხელი წერტილი: ბრემენი

მირო კლოზემ "ვერდერის" მაისურით, ბუნდესლიგაში 89 მატჩში 53 გოლი გაიტანა და ცხადია, ბრემენული კლუბის ისტორიაში ისე შევიდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი. სამი წლის განმავლობაში ბრემენი მიროს სამშობლო და სიყვარული იყო, დღეს კი, ეს ქალაქი კლოზესთვის ჯოჯოხეთია. მაშ ასე, 29 წლის ბუნდესმეგოლე "ვეზერშტადიონზე" მტრის რანგში ბრუნდება და ცხადია, მას მტრულადვე დაუხვდებიან.

"პირადად მე ყველაფრისთვის მზად ვარ!" - აცხადებს კლოზე. მირო მზადაა ფიზიკურადაც, რადგან სამოდ დღის წინათ მიღებული მიკროტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და მზადაა მენტალურადაც - *"მთელი სტადიონი დამისტვენს. ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება."* აი, ასე გაუხადა მას საქმე უეფას თასის ნახევარფინალური მატჩის წინ "ბაიერნთან" გამართულმა საიდუმლო მოლაპარაკებებმა. "

"ვერდერთან" თამაში "ბაიერნისთვის" ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა. მიროს შეუძლია, მშვიდად იყოს და არ ინერვიულოს. ჯერ ერთი, ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს და ესეც არ იყოს, თუ რამე მოხდა, კლოზეს ყველანი დავიცავთ!" - აცხადებს **მარკ ვან ბომელი**. ასეა: კლოზეს დამცველებად, პირველ რიგში, ვან ბომელი და **ოლივერ კანი** მოევლინებიან. *"არა მგონია, რომ თამაშში რამე მოხდეს. მატჩი მშვიდად ვერ ჩაივლის, ეს ფაქტია, მაგრამ ცუდი არაფერი მოხდება. თუ მაინც რაიმე ცუდ ფაქტს ჰქონდა ადგილი, ჩვენ ყველანი ერთმანეთს გვერდში დავუდგებით, ზუსტად ისე, როგორც ლიგის თასის მატჩში,"* - აგრძელებს რეკორდმაისტერის ჰოლანდიელი ნახევარმცველი.

იმ მატჩში, რომელიც "ბაიერნმა" 4:1 მოიგო, ერთ-ერთ სიტუაციაში, როცა ბრემენელმა **ლეონ ანდრეასენმა ფილიპ ლამი** სასტიკად მოცელა, "ბაიერნის" მარცხენა მცველს სწორედ ვან ბომელი და კანი გამოექომაგნენ. ასე იქნება ახლაც, თუკი კლოზეს მისი ყოფილი თანაგუნდელები ეუხეშებიან. სამაგიეროდ, კანი და ვან ბომელი "ვეზერშტადიონის" პუბლიკას ვერ გააჩუმებენ.

დაბოლოს: კლოზეს დღეს შეუძლია, რომ ბუნდესლიგაში მე-100 გოლი გაიტანოს...

სავარაუდო შემადგენლობები:

შალკე-ბორუსია (დ)

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, კობიაშვილი, რაკიტიჩი, ასამოა, კურანი, ლოვენკრანდსი.

ბორუსია (დ): ვაიდენფელერი, კრინგე, ვიორნსი, კოვაჩი, დედე, კელი, ბლაჟრიკოვსკი (ან ბაკლი), ტინგა, პეტრიჩი, სმოლიარეკი (ან ვალდესი), კლიმოვიჩი.

ვერდერი-ბაიერნი

ვერდერი: ვიზე, პასანენი, მერტეზაკერი, ნალდო, კ. შულცი, ანდრეასენი, ბაუმანი, დიეგო, კარლოს ალბერტო, ალმეიდა, სანოგო.

ბაიერნი: კანი, ლელი, დემიკელისი, ლუსიო, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, რიბერი, შვაინშტაიგერი, კლოზე, ტონი.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდორს მიღმა

შვებულება საკუთარი დისკომფორტის ხარჯზე

პორტსმუთის მეკარე და გარდიანის მესვეტე დევიდ ჯეიმსი ზაფხულის არდადეგებს იხსენებს...

თანამედროვე რეალობა ძალიან მკაცრია. იმდენად, რომ ფეხბურთელებს უგემრიელეს ჰამბურგერებსა და ჩიპსებზე უარის თქმა, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, შვებულების პერიოდშიც კი უწევთ. "პორტსმუთისა" და ინგლისის ნაკრების მეკარე, შეთავსებით "გარდიანის" მესვეტე დევიდ ჯეიმსი გვიყვება სწორედ იმაზე, თუ რითი იკვებებიან სპორტსმენები დასვენების ჟამს.

"მოსამზადებელი პერიოდი შედგება მძიმე ვარჯიშებისა და ჩვეულზე მეტი დატვირთვებისგან, გულის რიტმის კონტროლისგან. წარსულთან შედარებით სპორტულმა მედიცინამ თითქოს მილიონი სინათლის წლით წაიწია პროგრესისკენ. მაშინ, ძველ, "საშინელ დროს" სიტყვათა შეთანხმება "მოსამზადებელი პერიოდი" მოთამაშეებში ნევროზს იწვევდა, ამასთან, სოლიდურად ათხელებდა მათს ჯიბეებს ის ჯარიმები, რასაც თითოეული ზედმეტი გრამისთვის კლუბის ხელმძღვანელობა მათ უწესებდა. თითქოს ბოსები ცდილობდნენ, ფეხბურთელებს ყოველი საშვებულებო "შეცოდება" ათმაგად ეზღოთ. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, დუბლინში ლუდითა და ჰამბურგერებით მოიგდებდი ღიპს თუ ტენერიფეში ნაყინით? არაფერი. მწვრთნელი ერთსა და იმავეს იმეორებდა: "აბა, მაჩვენეთ, ვინ უკეთ დარბის 10-კილომეტრიან კროსს". მე ამის სულ არ მეშინოდა, იმიტომ, რომ ბოლომდე არასდროს მირბენია, 5 წუთში, სადღაც შუა გზაზე, ყოველთვის გულნასული ვეცემოდი.

მაშინ სრულიად ბუნებრივად ითვლებოდა, რომ შვებულებიდან ისეთივე ღიპით უნდა დაბრუნებულიყავი, როგორც ეს პოლიციელებს აქვთ. ყოველთვის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მთელი სეზონი ვერ "დნებოდნენ". **სტივ მაკმანამანის** კი, მოფერებით მაკის, ყველას შურდა. მის მიერ შთანთქმული ჰოთდოგების რაოდენობის მიუხედავად, ზედმეტი წონის პრობლემა მას არასოდეს ჰქონია. როგორც წესი, სეზონის მსვლელობისას ზედმეტი კალორიების წვა ბუნებრივად ხდება. და შოკში ვარდები, როცა უდარდელი უსაქმურობის პერიოდში წონა ისევ გიტევს და იპყრობს შენს ორგანიზმს.

ახლა მე უკვე ვიცნობ ჩემი სხეულის სპეციფიკას. შვებულებისას შემწვარი და მაღალკალორიული ცხიმიანი საჭმლით ტკბობის უფლებას საკუთარ თავს მხოლოდ რამდენიმე დღით ვაძლევ. შემდეგ უმალ სატრენაჟორო დარბაზში მივდივარ. მე დამუშავებული მაქვს ჩემი სავარჯიშო პროგრამა. რაც, გამოვტყდები და, ახალგაზრდობისას არ მქონია. უპროგრამობამ გამოიწვია ის, რომ ერთ ზაფხულს 108 კილოგრამი გავხდი და ამის გამო სარკეში ჩახედვისაც კი მეშინოდა. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. იმ პერიოდში **ჯანი არმანის** პროდუქციის სარეკლამო კლიპებში მიმიწვიეს. მე კი საშინელ ფორმაში ვიყავი. მახსოვს, ვიღაცამ მირჩია, პრესის ვარჯიშებისთვის მეტი ყურადღება დამეთმო. ასეც მოვიქეცი, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე.

სხვათა შორის, ზოგი ჩემი კოლეგა საკუთარ თავზე ზრუნვას სეზონის დასრულების უმალ იწყებდა, მათ ასეთი სიმკაცრე იმიტომ სჭირდებოდათ, რომ იდეალურად მომზადებულები შეხვედროდნენ მომავალს. ამაში განსაკუთრებული გულმოდგინეებით დუბლების წევრები გამოირჩეოდნენ. ისინი სატრენაჟორო დარბაზს დილიდან ავსებდნენ. კუნთებს იბერავდნენ და შედეგებს ღამის კლუბების ტუალეტებში იმკიდნენ - კუნთები გოგონებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ივნისი ადრე სრული უსაქმურობის დრო იყო. ახლა კი ეს ჩემთვის ნამეტანი დიდი ფუფუნება იქნებოდა. მე ყოველთვის ვურეკავ ჩემს ფიზიოთერაპევტს და მისგან რჩევებს ვიღებ. თუნდაც ოჯახთან ერთად დასასვენებლად მიმავალს, მირჩევნია, დავისვენო იქ, სადაც ტრენაჟორებზე დატვირთვა და პირადი მწვრთნელის აყვანა შემეძლება.

მაშინ როცა "უოტფორდის" ახალგაზრდა მეკარე ვიყავი, ზაფხულობისას სხვა სამუშაოს ვკიდებდი ხოლმე ხელს. იმიტომ, რომ ანაზღაურება კვირაში 27 ფუნტი მქონდა. ვმუშაობდი მღებავად, ამტომ სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად არც დრო მქონდა და არც ხალისი. მახსოვს, ერთხელ მეგობართან ერთად, ტენერიფეში წავედი დასასვენებლად. ორივეს სულ რაღაც 90 ფუნტი გვქონდა. ადგილზე ჩასულებმა 35 აუდიომაგნიტოფონის ელემენტებში მივეცით და მერე მთელი კვირა მშივრები ვიყავით.

"ლივერპულში" ყოფნისას ძლივს გავიგე, რას ნიშნავდა ნამდვილი მოგზაურობა. ეს სწორედ მაშინ იქცა მოდად, ზუსტად ის პერიოდი იყო, როცა ჩვენ, ფეხბურთელებმა მეტი ფულის-კეთება დავიწყეთ ჩვენი პროფესიით და მსოფლიოს სხვადასხვა ეგზოტიკურ კუთხეს გავუშინაურდით. განსაკუთრებით პოპულარული ფლორიდა იყო. დაახლოებით ათი წლის წინათ, მე და **იან რაიტი**, ოჯახებითურთ, ჩავედით შტატების ამ ლამაზ კუთხეში სპორტული დისნეილენდის პრომოუტერების რანგში. ამ დაუვიწყარი მოგზაურობიდან დღემდე შემომრჩა სურათები, სადაც მე და იანი, ყურებამდე გაღიმებულები, როგორც ბავშვები, ვემზადებით სიმაღლიდან ელასტიკური ტროსით გადმოსახტომად. ასევე მაქვს სურათი, რომელზეც მე და ჩემი მეგობარი ამერიკის სამოქალაქო ომისდროინდელი ჯარისკაცების ფორმაში ვართ ჩაცმულები. სხვათა შორის, ეს მიკრული სურათი დღემდე შემორჩა ჩემს მაცივარს.

ახალგაზრდობა შვებულებას, ანუ ბორნმუთსა და დუბლინში დროსტარების შანსს, ყოველთვის ენთუზიაზმით ხვდებოდა. თუმცა ხელფასების ზრდის პარალელურად, რა გასაკვირია და, ტურისტული მარშრუტებიც უფრო მრავალფეროვანი გახდა. მოდაში შემოვიდა ჯერ საფრანგეთი, ტენერიფე, ბოლოს ლას ვეგასი და კიდევ უფრო შორეული მხარეები. მე ყველაფერს მაინც ფლორიდა მერჩივნა. ყოველ ზაფხულს მივდიოდი ოჯახთან ერთად და ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა ძველი ტრადიციული საუზმე "დიდი მუზარადი", რაშიც შედიოდა ვაფლი, ბლინები და მსგავსი საკონდიტრო ნაწარმი. ახლა მე მსგავს საუზმეზე აღფრთოვანებით უკვე აღარ მიძგერს გული.

ერთხელ ჩემი ოჯახის ათივე წევრთან ერთად ლოს ანჯელესში ჩავედი. იქ ვიქირავეთ 15-ადგილიანი მიკროავტობუსი და დავიწყეთ მოგზაურობა. თუკი მე რაიმეს გადავწყვეტ, არავის ძალუძს ნაბიჯითაც კი უკან დამახევინოს. სწორედ მას მერე ვარ შეყვარებული ჰარდ როკ კაფეებზე. იქ მოგებული სათამაშოები დღესაც შენახული მაქვს, რათა ერთ დღეს შვილიშვილებს ვუჩვენო.

დღევანდელ ფეხბურთელთა უმრავლესობას აზრად არ მოუვა, რომ იმ ყველაფრით იკვებოს, რითიც ჩვენ ვიტკბარუნებდით პირს. "ეცადე, არ გასუქდე"... აქცენტები დღეს უკვე სხვა მიმართულებით ისმის. დღეს აქტუალურია, თუ რამდენად მომზადებული ბრუნდება მოთამაშე შვებულებიდან. ფეხბურთელები ყოველთვის ინტერესით ეცნობიან კედელზე გამოკრული ტესტების შედეგებს და საკუთარს ადარებენ თანაგუნდელებისას. ძველი სისტემა, როცა ცოტაოდენი გასუქებისთვისაც კი გაჯარიმებდნენ, არ მუშაობდა, ვერც იმუშავებდა ვერავის სასარგებლოდ გარდა კლუბის ბიუჯეტისა. ფანები ახლა უკვე ნაკლებად თხზავენ სიმღერებს ძალების "მაქსიმალური გაფურჩქვნის ასაკში მყოფი ზომიერზე მეტად ნაკვები ვარსკვლავების" შესახებ.

სიმართლე რომ ითქვას, სრული თანხვედრა ფიზიკურ მზადყოფნასა და გარეგნულ ფორმას შორის ნაკლებია. უამრავი მეგავარსკვლავი მინახავს, ასე ვთქვათ, უჰალსტუხოდ. გარწმუნებთ, რომ მათი კუნთებით აღფრთოვანებაში ვერ მოხვიდოდით. უყურებ გამხდარ ადამიანს და გიკვირს, როგორ ახერხებს ამდენ სირბილს, მიუხედავად იმისა, რომ ენა გარეთ უვარდება. ფიქრობ რა, რომ ამხელა დატვირთვის გადატანა ასეთი აღნაგობის ადამიანს არ უნდა შეეძლოს. თუმცა შეეხვედრივარ იდეალური, რელიეფური აღნაგობის ფეხბურთელებს და მოედანზე ისინი ბევრი არაფერი მორბენლები იყვნენ.

ახლანდელი მოსამზადებელი პერიოდი 21-ე იყო ჩემს კარიერაში. ამ პერიოდში, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მოსამზადებელი შეკრებების გეოგრაფიაც დიდად შეიცვალა. სკანდინავიურ კლუბებთან გულისგამაწვრილებელი საკონტროლო მატჩები შეცვალა ბანგკოკში რეპერ აის თისთან ერთად კიკბოქსიორთა ტურნირის გამარჯვებულთა დაჯილდოებამ, "სიტის" აზიური ტურნეს დროს.

ძალიან მომენატრება ამერიკული საუზმე, მაგრამ მინდა თუ არა, რეალობას ანგარიშს ვუწევ და ვხვდები რა, რომ კონკურენცია ფეხბურთში არადამიანურად გაიზარდა, ამის გასაძლებად იძულებული ვხდები, შვიდი პირი ოფლი გამოვიდინო მარბელიაში ოჯახთან ერთად დასვენებისასაც კი. მადის აღმძვრელი საკვები და ნაყინი კიდევ ცოტა ხანი მოიცდის..."



დევიდ ჯეიმსი

რაიმონ დომენეკი

საფრანგეთი

დომენეკი სრულიად იტალიის წინააღმდეგ

ფრანგი მწვრთნელის ინტერვიუს დიდი სკანდალი მოჰყვა...

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რაიმონ დომენეკმა** ინტერვიუ მისცა "ლე პარიზიენს", სადაც უკანასკნელი მუნდიალის ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად **მარკო მატერაცი** დასახელა. აი, როგორ ასაბუთებს საკუთარ აზრს: *"მან გაიტანა გოლი, აიძულა მსაჯი მეტოქე გაეძევებინა, გაიტანა პენალტი მატჩისშემდგომ სერიაში. ის ანდრეა პირლოზე უკეთესი იყო."*

გაცნობებთ, დომენეკთან დაკავშირებულ მეორე ინფორმაციასაც - ის ვალდებულია უეფას ხელმძღვანელობას განუმარტოს ამავე ინტერვიუში გამოთქმული სიტყვები: მან 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი ეტაპის იტალია-საფრანგეთის მატჩის არბიტრ **კორტეშ ბოატიშტას** ბრალად წაუყენა იტალიელთა მიმართ დაუფარავი სიმპათია, რაც მისივე განმარტებით მსაჯის მატერიალური დაინტერესებით იყო განპირობებული. *"ის ან განმარტავს საკუთარ სიტყვებს და წარმოადგენს მტკიცებულებას, ანაც უმკაცრესად დაისჯება"*, - განაცხადა **მიშელ პლატინიმ**.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან-პიერ ეკალეტმა** ამ სკანდალურ განცხადებასთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა: *"მუსიე დომენეკმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი აზრი დააფიქსირა. ის არ ემთხვევა ჩვენი ფედერაციის ოფიციალურ პოზიციას. დარწმუნებული ვარ, შესარჩევი მატჩი "სან სიროზე" ისეთივე სპორტულ ბრძოლაში ჩაივლის, როგორც ეს გასული წლის სექტემბერში "სენ დენიზე" იყო".*

დომენეკს გამოეხმაურა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი **მარკო ტარდელი**: *"ის რაც მან განაცხადა, ეს აბსოლუტური ტყუილია. ხსენებულმა მატჩმა სპორტულ ბრძოლაში ჩაიარა და ის ჩვენ დამსახურებულად მოვიგეთ. თუკი მწვრთნელი საკუთარ წარუმატებლობას მსაჯს აბრალებს, ის უბრალოდ იდიოტი კი არა, ხელმოცარული იდიოტია"*, სიტუაციის გამწვავებას არ მოერიდა იტალიელი.

ამასობაში ლაპარაკის გარდა საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრნელმა მოქმედებაც გადაწყვიტა და იტალიასთან საომრად საკუთარ არმიას უბძო:

მეკარეები - ლანდრო (პსუ), ფრეი (ფიორენტინა), რამე (ბორდო), რიშე (სოშო)

მცველები - აბიდალი (ბარსელონა), ბუმსონგი (იუვენტუსი), კლერი (ლიონი), ევრა (მანჩესტერ უნაიტედი), გალასი (არსენალი), სანია (არსენალი), სკილაჩი (ლიონი), ტურამი (ბარსელონა), ჟივე (მარსელი), მექსე (რომა), რევეიერი (ლიონი), ძებინა (იუვენტუსი)

ნახევარმცველები - დიაბი (არსენალი), ალუ დიარა (ბორდო), ლასანა დიარა (ჩელსი), მაკელელე (ჩელსი), მავუბა (ვილიარეალი), ნასრი (მარსელი), ტულალანი (ლიონი), როტენი (პსჟ), მალუდა (ჩელსი), ვიეირა (ინტერი), რიბერი (ბაიერნი).

თავდამსხმელები - ანელკა (ბოლტონი), ბენზემა (ლიონი), ბრიანი (რენი), სისე (მარსელი), ანრი (ბარსელონა), პიკიონ (მონაკო), ტრეზეგე (იუვენტუსი).

ვან ნისტელროი ნაკრებშია

მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი **რუუდ ვან ნისტელროი** მთავარმა მწვრთნელმა **მარკო ვან ბასტენმა** ნაკრებში დააბრუნა. რუუდს ეროვნულ გუნდში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აღარ უთამაშია. შეგახსენებთ, რომ 54 სანაკრებო შეხვედრაში სუპერფორვარდს 28 გოლი აქვს გატანილი. ვან ბასტენს ის შესარჩევ ჯგუფში არცთუ ულრუბლო სიტუაციის გამო დასჭირდა. ჯერჯერობით კი ფეხბურთელი ენენვაში შვეიცარიასთან ამხანაგური მატჩში დაეხმარება გუნდს:

მეკარეები - ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი)

მცველები - ხალიდ ბულარუზი (სევილია), ბუმა (ასტონ ვილა), ურბი ემანუელსონი (აიაქსი), ჯონი ჰეიტინგა (აიაქსი), კიუ იალიენსი (ალკმაარი), იორის მატიისენი (ჰამბურგი), მარიო მელხიოტი (ვიგანი)

ნახევარმცველები - იბრაჰიმ აფელეი (პსვ), ჯოვანი ვან ბრონკხორსტი (ფეიენოორდი), კლარენს ზეედორფი (მილანი), ვესლი სნეიდერი (რეალი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), არიან დე ზეეუვი (ალკმაარი)

თავდამსხმელები - რაიან ბაბელი (ლივერპული), დირკ კუიტი (ლივერპული), რუუდ ვან ნისტელროი (რეალი), რობინ ვან პერსი (არსენალი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი)

ესპანეთი ექვსი ვალენსიელით

ესპანელთა თავკაცმა **ლუის არაგონესმა** იმ ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა, რომლებიც 22 აგვისტოს საბერძნეთთან ამხანაგურ მატჩში ითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ ნაკრებში ყველაზე მეტი, ექვსი ფეხბურთელი, "ვალენსიამ" მიავლინა:

მეკარეები - იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული);

მცველები - მარიანო პერნია (ატლეტიკო), პაბლო იბანიესი (ატლეტიკო), კარლოს მარჩენა (ვალენსია), სერხიო რამოსი (რეალი), ხუანიტო (ბეტისი);

ნახევარმცველები - სესკ ფაბრეგასი (არსენალი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ჩავი ერნანდესი (ბარსელონა), ჩაბი ალონსო (ლივერპული), მიგელ ანხელ ანგულო (ვალენსია), დავიდ სილვა (ვალენსია), დავიდ ალბელდა (ვალენსია), ხოაკინი (ვალენსია);

თავდამსხმელები - დავიდ ვილია (ვალენსია), ფერნანდო ტორესი (ლივერპული), ლუის გარსია (ესპანიოლი).

ინტერვიუ ფერნანდო იეროსთან

ახლაც არ ვიცი, რა მოხდა იმ დღეს...

რეალის ბოსებზე გულნატკენი იერო მზადაა, ნებისმიერ მომენტში დაბრუნდეს

რა უნდა ვთქვათ ახლა ფერნანდო იეროზე ისეთი, რაც აქამდე არ გვითქვამს? ალბათ, არც არაფერი, გარდა იმისა, რომ "რეალიდან" მისი წასვლა კლუბის დაღმასვლასა და რთულ დროებას დაემთხვა. ლოგიკური იყო ეს თუ შემთხვევითი, ამაზე ცალკე საუბარია საჭირო და ვფიქრობთ, ახლა ამის დრო არ არის. სჯობს, შემოგთავაზოთ ინტერვიუ "რეალის", ესპანური და, შეიძლება ითქვას, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ ლეგენდასთან და იქნებ, რაღაც დასკვნები თავად გააკეთოთ...

- იქნებ გვითხრათ, რა ხდება დიდი ფეხბურთელის გონებაში, როცა ის კარიერას ამთავრებს?

- სულის სიძლიერეა საჭირო. ერთხელაც გაიღვიძებ და აღმოაჩენ, რომ ის პრივილიგიები, რითიც აქამდე ცხოვრებდი, სადღაც გაქრა. და მას უკვე ვეღარ დააბრუნებ. ისე, ჩემს შემთხვევაში არასაფეხბურთო ცხოვრებასთან ადაპტაცია უმტკივნეულო გამოდგა. ორი სეზონის განმავლობაში ესპანეთის გარეთ ვთამაშობდი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ კარიერას ამის შემდეგ დავასრულებდი და ამისთვის ფსიქოლოგიურად ვემზადებოდი. თან ის ორი სეზონიც ისე ჩავატარე, რომ ფეხბურთისგან მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო.

- დღევანდელ ფეხბურთში უამრავი ინტერესი იკვეთება. რა როლი აქვს მასში მოთამაშეს?

- ჩემი თაობა ცოტა სხვა ფეხბურთს თამაშობდა. ახლა, როცა უკან ვიყურები, ვრწმუნდები, რომ ის ფეხბურთი უფრო მშვიდი, ვიტყოდი... უფრო პირადული იყო, უფრო სუფთა იყო... ახლა ეკონომიკური ინტერესები ძალიან დიდია და ის ყოველწლიურად იზრდება. არის მასმედიის ინტერესებიც. ყოველივე ამის ფონზე, სპორტული მხარე იკარგება და წინა პლანზე სხვა ასპექტები გამოდის. ახლა, ფეხბურთელის, მწვრთნელისა თუ პრეზიდენტის როლში წარმატების მოპოვება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე იყო უბრალო და კარგი ადამიანი. დღევანდელმა ფეხბურთმა სპეციფიური ფორმები შეიძინა. მაგრამ ეს უკვე მოხდა და ჩვენ ვეღარაფერს შევცვლით.

- შესაძლებელია თუ არა ეკონომიკური და სპორტული ინტერესების თანაარსებობა?

- წარმატებული გუნდებისთვის სპორტული მხარე ყოველთვის პირველხარისხოვანი იყო. შემდეგ მოდის ყველა დანარჩენი. რაც უფრო ბევრი და არასასურველი ფაქტორი იმოქმედებს ფეხბურთელებზე, მით უფრო ძნელი იქნება გამარჯვებების მოპოვება. ჯერ უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საწვრთნელი პროცესი, მერე დრო სხვა საქმისთვისაც დაგრჩება. მაგრამ ვიმეორებ: სპორტული მხარე პრიორიტეტული და ხელშეუხებელი უნდა იყოს. დღეს ხშირად ვაწყდებით ამგვარ მიდგომას: ვივარჯიშოთ, თუ ამისთვის დრო დაგვრჩება. რა თქმა უნდა, ცხოვრება შეიცვალა... რეკლამა, მარკეტინგი, დიდი ფეხბურთელების მაისურები ვაჭრობა... ესეც აუცილებელია, მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ მხოლოდ იმ გუნდების მაისურები იყიდება, რომლებიც იმარჯვებენ.

- თქვენ ხანგრძლივი და ბრწყინვალე კარიერა გქონდათ. მაინც რომელი იყო ამ გზაზე გამორჩეული, მთავარი მომენტი?

- ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი ცხოვრება ზღაპარს ჰგავს. ბავშვობაში ფეხბურთის თამაში სოფელში დავიწყე. 17 წლისა "მალაგას" სკოლაში მივედი. პირველ გუნდში ჩემი ორი ძმა თამაშობდა. ერთი წლის შემდეგ, "მალაგის" რომელიღაც ფარმკლუბთან ერთად წინასასეზონო შეკრებაზე გავემგზავრე. ჩავედი როსალედაში, მაგრამ მწვრთნელმა მითხრა, რომ იქ არავის ვჭირდებოდი. რა გაეწყობოდა, გვერდით გადავდე ჩემი ოცნებები, ჩავალაგე ჩემოდანი და სოფელში დავბრუნდი.

- და რას ფიქრობდით იმ სიტუაციაში?

- წარმოიდგინეთ, ვბრუნდები სოფელში, ჩემოდნით ხელში, და ამ დროს ათასი აზრი გიტრიალებს თავში: რა უნდა ვუთხრა მშობლებსა და ძმებს? ძალიან ძნელი იყო ამის დავიწყება... მაგრამ გამიმართლა იმ მხრივ, რომ ჩემი ძმა მანოლო, რომელიც იმ დროს "ვალიადოლიდში" თამაშობდა, თავის მწვრთნელ ვისენტე კანტატორესთვის თურმე ჩემზე უთხოვია, რომ გავესინჯე. როცა კანტატორემ გაიგო, რომ 19 წლის ვიყავი, მაშინვე დიაგნოზი დამისვა - თუ ამ ასაკში ჯერ არაფრისთვის მიუღწევია, არა მგონია, რამე გამოვიდესო... თუმცა მაინც დათანხმდა ჩემს ძმას და გამსინჯა. "ვალიადოლიდის" ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი თამაში იყო. კანტატორე ტრიბუნაზე იჯდა და მიყურებდა. ხუთი წუთი იყო გასული მატჩის დაწყებიდან, როცა ვიღაცისთვის უკითხავს - ეს ბიჭი ვინ არისო? ერთმა ჩემმა ნაცნობმა მომიყვა ეს ამბავი: როცა კანტატორეს უთხრეს, რომ მანოლო იეროს ძმა ვიყავი, ყველაფერი იქვე გადაწყდა - ეგ ბიჭი პრიმერა დივიზიონში ჩემთან ერთად იქნებაო...

- ...და რომ არა ეს ამბები, მექანიკოსი იქნებოდი...

- ჩემი პროფესია მაშინვე დამავიწყდა, როგორც კი ვალიადოლიდში წავედი. და წარმოგიდგენიათ? ექვს თვეში "ბარსელონის" წინააღმდეგ "კამპ ნოუზეც" ვითამაშე. გამიმართლა, რომ კანტატორეს სახით დიდ ადამიანს შევხვდი, სწორედ მან დაუდო სათავე ჩემს საფეხბურთო კარიერას. ის მეუბნებოდა - მე დაგაყენებ ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ იცოდე, თუ ჩემს მითითებებს ვერ შეასრულებ, სკამზე დაგვსვამ და მერე შენს თავს დააბრალე, შანსი ხელიდან რომ გაუშვიო... ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ეს სიტყვები, მაგრამ მაინც ეჭვი მღრღნიდა, რომ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც მინდოდა. ბევრს ვფიქრობდი. ვფიქრობდი და მახსენდებოდა ის კოშმარული დღე, როცა მალაგიდან დავბრუნდი. ახლა კი უნდა ვთქვა, რომ არც "ვალიადოლიდს" გამოვადექი? ძალიან მძიმე კვირა გადავიტანე, მაგრამ მერე მივხვდი, ვისენტე კანტატორესთან შეხვედრა ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო...

- მართლაც ასეთი ეგოისტი მოთამაშეა ფერნანდო იერო, როგორც მასზე ამბობენ?

- გააჩნია, ამას საიდან მივუდგებით. ცხადია, როცა თამაშობ, ეს გაცილებით სჯობს იმას, როცა სკამზე ზიხარ. მაგრამ აქ მთავარია, ფეხბურთელი კლუბს პატივს სცემდეს და ესმოდეს, რომ ზოგჯერ, როცა ამას საერთო ინტერესები ითხოვს, ის თადარიგშიც უნდა იჯდეს. თუ ეგოისტად ჩავთვლით იმას, ვისაც თამაში უნდა, ვინც დარწმუნებულია, რომ გუნდს სარგებელს მოუტანს, მაშინ ასეთი ეგოიზმი მე მომწონს. იცით, ასეთი ხალხი ჩემი უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე ის, ვინც მშვიდად ზის სკამზე, იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ხელფასსა და პროგრესზე არ ფიქრობს.

- მოგვიყევით თქვენს მწვრთნელებზე...

- ყველამ რაღაც სასარგებლო მომცა და ყველა მათგანზე უსასრულოდ შემიძლია ლაპარაკი. როგორც გითხარით, დიდი ფეხბურთისკენ გზა კანტატორემ გამიხსნა. ფაბიო კაპელოსთან მუშაობისას გავიგე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოთამაშისთვის ხასიათის სიმტკიცე და გუნდის ერთიანობა. ვისენტე დე ბოსკემ კი ამიხსნა, რომ ფეხბურთი, სინამდვილეში, გაცილებით მარტივი თამაშია, ვიდრე ვფიქრობდი. ხავიერ კლემენტეზე კი შემიძლია ვთქვა, რომ ის უფრო შემტევი სტილის მწვრთნელი იყო, ვიდრე მასზე წერდნენ, და არა კამაჩო, რომელიც მუდამ იმას გვასწავლიდა, როგორ გაგვემაგრებინა დაცვა. საერთოდ კი, ფეხბურთში, ისევე როგორც ცხოვრებაში, სწავლა სიცოცხლის ბოლომდეა საჭირო.

ფერნანდო იერო

- დაბრუნებას ძალიან ხომ არ აყოვნებთ?

- როცა ფეხბურთს თავი დავანებე, ერთადერთი, რაც მინდოდა, ეს იყო დასვენება და ჩემი გეგმების წესრიგში მოყვანა. მინდოდა, ზუსტად გამეგო, სად შეიძლებოდა ყოფილიყო იეროს ახალი ადგილი. ფეხბურთში დაბრუნებას არ განვიხილავდი, როგორც აუცილებელ და გადაუდებელ მოვლენას. ახლა, როცა უკვე გავიდა გარკვეული დრო და ბევრიც ვიფიქრე მომავალზე, მზად ვარ, ნებისმიერ მომენტში დავბრუნდე, და დავბრუნდე იმიტომ, რომ ფეხბურთი ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და ასეთად რჩება დღესაც.

- "რეალის" პრეზიდენტის ბოლო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა რატომ არ წამოაყენეთ?

- ყველამ უნდა იცოდეს, რომ როცა საუბარია "რეალზე", როგორც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს მოვლენაზე, ასეთ დროს ის მეტ პატივისცემას იმსახურებს. ამ კლუბში 14 წელინადი გავატარე და არასოდეს მითამაშია ვინმესთვის, ან რაღაცისთვის, მე მხოლოდ "რეალისთვის" ვთამაშობდი. არ მომწონს, როცა ეს არჩევნები "რეალის" ყოფილ ფეხბურთელებს შორის რბოლას ემსგავსება. ასეთ დროს თავს ყოველთვის უხერხულად ვგრძნობ.

- რას გრძნობს ფეხბურთელი, რომელმაც ეს-ესაა მოიგო ჩემპიონის ტიტული, 100 ათასმა კაცმა ოვაცია მოუწყო და ამ დროს ის ტოვებს მოედანს... მეორე დღეს კი არ იცის, გახდება თუ არა ეს მოედანი მისი სახლი?

- მაშინ მე უკვე ვიცოდი, რომ ეს არ იქნებოდა ჩემი სახლი. ის იყო ჩემი ბოლო მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუზე", ამას ინტუიცია მკარნახობდა. მოგვიანებით, დელ ბოსკეს ვკითხე: რატომ შემცვალეთ ბოლო წუთზე, იცოდით, რომ ეს ჩემი ბოლო მატჩი იყო-მეთქი? არაო, მითხრა - მინდოდა, ფრანსისკო პავონისთვის პატივი მეცაო... მაგრამ როცა ეს ცვლილება გავაანალიზე, მივხვდი, რომ გაგრძელება აღარ იქნებოდა.

- სეზონის დასრულებამდე რატომ არაფერს ამბობდით ამ ინტუიციაზე? წასვლა მაინც ბოლო დღეს გადაწყვიტეთ?

- მანამდე, ამის დრო არ იყო, თან "რეალთან" სიტყვიერი შეთანხმება და მორალური ვალდებულება მქონდა. ჩემი პრობლემა გუნდის ამოცანებთან შედარებით უფრო უმნიშვნელოდ მიმაჩნდა...

- და მაინც, რა იყო თქვენთვის ყველაზე მტკივნეული: ის ფაქტი, რომ თქვენთან განშორება გადაწყვიტეს, თუ ამ განშორების ფორმა?

- ფაქტს რაც შეეხება, აქ კითხვები არ მქონდა. რაკი მივხვდი, რომ "რეალის" ხელმძღვანელობამ ასე ინება, რამდენიმე წუთში ჩვენ ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. მაგრამ მტკივნეული ის იყო, რომ ცდილობდნენ, ყველაფერზე პასუხისმგებელი მარტო მე ვყოფილიყავი. რატომ? არ ვიცი... დღესაც არ ვიცი ამის მიზეზი...

ინტერვიუ დავიდ ტრეზეგესთან

დომენეკის ბრალდებები აბსურდული და ამაზრზენია

ტრეზეგე დარწმუნებულია, რომ იუვენტუსი სკუდეტოს მოიგებს

"გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში დავიდ ტრეზეგემ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ რაიმონ დომენეკის ბოლო გამონათქვამები გააკრიტიკა. ამას გარდა, ისაუბრა ევრო 2008-ზეც თამაშის სურვილზეც, გაიხსენა თავისი მწვრთნელები, ილაპარაკა "იუვენტუსის" შანსებზე, ბოლოს კი მარკო მატერაციც ახსენა... ვგონებთ, საინტერესო ინტერვიუ უნდა იყოს.

- დავიდ, წაიკითხავდით რაიმონ დომენეკის ინტერვიუს, რომელშიც მან იტალიელებს მსაჯების მოსყიდვაში დასდო ბრალი...

- დიახ, წავიკითხე. ეს ყველაფერი უბრალოდ ამაზრზენია, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ აბსურდულიცაა. წესით, მას ახლა უნდა რცხვენოდეს. თუ მას ჰგონია, რომ ამით მარტო კალჩოს მიაყენა შეურაცხყოფა, ძალიან ცდება. პირველ რიგში, მან ფრანგული ფეხბურთის სახელი შებღალა.

- კი, მაგრამ არ გეშინიათ, რომ თქვენ შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდება? რისკავთ, რომ ნაკრების კარი სამუდამოდ მიგიხურონ...

- სამ მსოფლიო ჩემპიონატსა და ევროპის ორ პირველობაზე ვითამაშე. ამ გაგებით, არაფრისა და არავისი მეშინია.

- თქვენი სიტყვებიდან ისე ჩანს, თითქოს ნაკრებში გამოძახებას აღარ ელოდებით...

- იცით, მან არ გამომიძახა არგენტინასთან ამხანაგური მატჩისთვის, რომელიც თებერვალში გაიმართა, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ იმ მომენტში სერია B-ში ვთამაშობდი. ახლა, 22 აგვისტოს სლოვაკეთს ვეთამაშებით და ვნახოთ, დამიძახებს თუ არა (დომენეკმა ტრეზეგე ამ მატჩისთვის გამოძახებულ 34-კაციან გაფართოებულ სიაში შეიყვანა - რედ). ვიქნები ნაკრებში? ძალიან კარგი, თუ არა და, არც ეს იქნება ტრაგედია, "იუვენტუსს" უფრო მეტ დროს დავუთმობ.

- ისე, ნაკრებიდან წასვლაზე არ გიფიქრიათ, როგორც ნესტამ და ტოტიმ გააკეთეს?

- 30 წლის ასაკში ეს ცოტა ნაადრევად მეჩვენება. ჯანმრთელობა, ჯერჯერობით, ხელს მიწყობს, რომ ნაკრებსაც დავეხმარო, თუ, რა თქმა უნდა, მწვრთნელს ამის სურვილი ექნება. თან წინ ევროპის ჩემპიონატია და ძალიან მინდა, კიდევ ერთ ევროფორუმზე ვითამაშო.

- ლუჩანო მოჯიმ იწინასწარმეტყველა, ამ სეზონში "იუვენტუსის" მაქსიმუმი მეხუთე ადგილი იქნებაო...

- ჩემი პროგნოზი გაცილებით ოპტიმისტურია. ამიტომ, მოჯის ვერ დავეთანხმები. დარწმუნებული ვარ, სკუდეტოს სწორედ "იუვე" მოიგებს.

- ალბათ, ამ ოპტიმიზმის საფუძველი "რომასთან" ამხანაგური მატჩია, რომელიც თქვენმა გუნდმა 5:2 მოიგო...

- დიახ, ჩვენ ვაჩვენეთ, რომ უკვე შეგვიძლია კონკურირება საუკეთესო იტალიურ კლუბებთან. შესაძლოა, "მილანსა" და "ინტერს" უფრო ძლიერი შემადგენლობები ჰყავთ, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზეა. უძლიერესს მოედანი და თამაში განსჯის.

- მაგრამ მეორე მხრივ, "რომასთან" შთამბეჭდავმა გამარჯვებამ, შეიძლება, ცუდი სამსახურიც გაგინოთ. გუნდს ხომ ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო...

- არა მგონია. "რომასთან" დამაჯერებელი გამარჯვება ძალიან საჭირო იყო. ასეთი თამაშები გუნდურ სულს აძლიერებს და არ შეიძლება, ამას უარყოფითი გავლენა ჰქონდეს.

- მოდით, თქვენი მწვრთნელები გავიხსენოთ...

- სერიოზული პროფესიული კარიერა დავიწყე "მონაკოში", რომელსაც იმხანად ჟან ტიგანა ავარჯიშებდა. მერე ვთამაშობდი ალენ ჟირესის, ლუის ფერნანდესის, კლოდ პიუელის ხელმძღვანელობით... იტალიაში კი ჩემი მწვრთნელები იყვნენ მარჩელო ლიპი, კარლო ანჩელოტი და ფაბიო კაპელო, მერე ცოტა ხნით დიდიე დეშამიც... მინდა, თითოეულ მათგანს დიდი მადლობა გადავუხადო, ყველამ რაღაც მომცა, თუმცა მათგან მაინც ლიპის გამოვყოფდი. მას არაჩვეულებრივად შეუძლია ფეხბურთელების სათამაშოდ მომართვა.

- დეშამზე რას იტყოდით?

- მან თავისი სამუშაო შესანიშნავად შეასრულა - "იუვენტუსი" მომენტალურად დააბრუნა სერია A-ში. ამას გარდა, მან სიმპათიური გუნდიც გააკეთა.

- რა შეგიძლიათ თქვათ მის მემკვიდრეზე, თქვენს ახალ მწვრთნელზე?

- კლაუდიო რანიერი მსოფლიო მოქალაქეა. მან რამდენიმე ენა იცის და საერთოდ, ყველანაირ სიახლეს ეგუება და მალე ითვისებს. ის ოპტიმისტურადაა განწყობილი და ეს განწყობა ჩვენზეც გადმოდის. როგორც ვხედავ, რანიერი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის.

- "იუვენტუსში" დღეს ბევრი ახალგაზრდაა. მაგალითად, ნოჩერინო...

- მას დიდი ტემპერამენტი და ტალანტი აქვს. თუ ადრე "იუვე" ისეთი გამოცდილი მოთამაშეებით ძლიერდებოდა, როგორებიც ვიეირა და ემერსონ იყვნენ, ახლა აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ. ნოჩერინოც ერთ-ერთი მათგანია. ის "იუვენტუსის" მომავალია.

- გულშემატკივართა მხარდაჭერის შესუსტებას ხომ არ გრძნობთ?

- პირიქით, პუბლიკის მხრიდან ისეთი ინტერესი, როგორიც ახლაა, მე პირადად არ მახსენდება. პინცოლოში, სადაც წინასასეზონო შეკრება გავიარეთ, ვარჯიშებზე უამრავი ადამიანი დადიოდა, აღარაფერს ვამბობ ამხანაგურ თამაშებზე. ახლა წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნება, როცა ჩემპიონატი დაიწყება.

- რომელ მატჩს ელოდებით ყველაზე მეტად?

- რა თქმა უნდა, "ინტერთან" თამაშს, გამომდინარე იქიდან, რაც წარსულში მოხდა. უბრალოდ, ჩვენ ვალდებულები ვართ, დავამარცხოთ ეს გუნდი, მილანშიცა და ტურინშიც.

- შეგიძლიათ, ტრეზეგეს ყველაზე ლამაზი გოლი გაიხსენოთ?

- ალბათ, "ვერონასთან" მატჩში რომ გავიტანე. 90-ე წუთი იყო, ორი მცველის გარემოცვაში ვიყავი და ახლაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე კარში დარტყმა. მართლაც ძალიან ლამაზი გოლი გამოვიდა. იცით, გოლის სილამაზე იმითაც იზომება, თუ რამდენად რთული მდგომარეობიდან გაიტან.

- ...და ყველაზე საჭირო?

- ასეთი ბევრი იყო... "რეალთან", მაგალითად, ჩემპიონთა ლიგაში, "მილანთან" "სან სიროზე". და რა თქმა უნდა, "ოქროს გოლი" ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალში, რომელშიც იტალია დავამარცხეთ.

- თქვენი კუმირი...

- ბატისტუტა.

- ყველაზე უხერხული მეტოქე...

- ნესტასა და მალდინის წყვილი. სხვათა შორის, იტალიის ჩემპიონატებში პირველი გოლი სწორედ "მილანს" გავუტანე, როცა მოედანზე მალდინიც იყო.

- მატერაციზე არაფერს იტყვით?

- მასთან პრობლემა არასოდეს მქონია. თუმცა... და მეც მყავს... (იცინის).



დავიდ ტრეზეგე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჰელითბურთი

საქართველო ჩვენით იამაყებს

ინტერვიუ კენ შილდსთან



კენ შილდსი

პირველი გვერდიდან

- დიდი ბრიტანეთის ნაკრები ფლეიოფში ჩვენი და მათი გასვლის შემთხვევაში, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი სავარაუდო მოწინააღმდეგეა. მოდით, კონკრეტულად ამ გუნდის წინააღმდეგ გამართულ ორ შეხვედრაზე ვისაუბროთ.

- მოგებულ შეხვედრაში ძალიან კარგი, თითქმის უშეცდომო იყო მანუჩარ მარკოიშვილი, რომელსაც ძალიან ძლიერი, ევროპული მასშტაბებით ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის, ლუოლ დენგის წინააღმდეგ თამაში მოუხდა. მარკოიშვილი დაცვაშიც ბოლომდე დაიხარჯა (ყოველთვის ასე თამაშობს) და შეტევაშიც მნიშვნელოვანი სამქულიანებით გამოირჩა. პირველ მატჩში მომეწონა გუნდური თამაში. კი, საქართველოს ნაკრებს რამდენიმე ძლიერი ინდივიდუალისტი ჰყავს და ნებისმიერ შემთხვევაში, შიგა და შიგ, მათი ოსტატობა საბოლოო შედეგისთვის აუცილებელია, თუმცა მეპირველ ადგილზე მაინც გუნდურ თამაშს ვაყენებ და ინგლისთან სწორედ ამან მოგვაგებინა. რაც შეეხება მეორე მატჩს, თავიდან ინგლისს რამდენიმე შეცდომა დავაშვებინეთ, უპირატესობა მოვიპოვეთ და პირველი ნახევარიც ათი ქულით მოვიგეთ. მერე კი გავჩერდით. გუნდს თითქოსდა, დაეძინა, ხოლო სწრაფ თამაშში ელემენტარულ შეცდომებს ვუშვებდით. დენგმაც ძლიერად ითამაშა, მაგრამ თუ საქართველოს ნაკრები თავის პოტენციალს ბოლომდე იყენებს, თუნდაც დენგის დარი ძლიერი ინდივიდუალისტის შეჩერებაც არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. სავარჯიშო ციკლის უარყოფითი მხარეების ჩამოთვლისას ამის ხსენება დამავიწყდა - რიგ მატჩებში კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიგვყავდა. ვერ ვიტყვი, რომ გუნდი გადაღლილი იყო. უბრალოდ, შეცდომებს ვუშვებდით. თუ ტესტ-მატჩებში ეს, ასე თუ ისე, დასაშვებია, ოფიციალურ შეხვედრებში მეტოქე, რომელიც შენ თითოეულ შეცდომაზეა ჩასაფრებული, ამას არ გაპატიებს.

- გაკმაყოფილებთ თუ არა ზაზა ფაჩულიას მზადყოფნა?

- ზაზა ძალიან ძლიერი მოთამაშეა. ბულგარეთის ტურნირი მან უმაღლეს დონეზე ჩაატარა. სიმართლე გითხრათ, მისგან ასეთ თამაშს არ ველოდი და მოულოდნელად ნასიამოვნები დავრჩი. ზაზა ერთ წუთში საშუალოდ ქულას აგროვებდა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშეც გახდა. გაითვალისწინეთ, რომ ფაჩულიამ უმძიმესი სეზონი ჩაამთავრა და სხვებთან შედარებით, გაცილებით მეტი მატჩის ჩატარება მოუხდა. იგი "ატლანტის" ერთ-ერთი ლიდერია და თუ მის ასაკსაც გავითვალისწინებთ, ფაჩულია წლიდან წლამდე სერიოზულ პროგრესს განიცდის. ინგლისთან ზაზამ 30 და მეტი ქულა ვეღარ დააგროვა, მაგრამ დაცვაში კარგად ითამაშა და გუნდი კიდევ ერთი ნიუანსით ახეირა - ინგლისელები ფაჩულიას თითქმის ყოველთვის ორმაგი მეურვეობით ეთამაშებოდნენ, რაც სათამაშო სივრცეს დანარჩენებს უხსნიდა. სწორედ ასეთი მომენტები უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად, რადგან თუ ფაჩულიას ერთიერთზე ევროპაში ნებისმიერის წინააღმდეგ წარმატებულად თამაში შეუძლია, ნაკრების სხვა წევრებმა ბოძებული თავისუფლებით ბოლომდე უნდა ისარგებლონ. სამიანია სასროლი? არც უნდა დაფიქრდე და ისროლო. ერთი პასით ზედმეტი უნდა გააკეთო? გააკეთე, რადგან ეს ისევ და ისევ გუნდს მოუტანს წარმატებას.

- გაუმჯობესა თუ არა ზაზამ დაცვაში თამაში?

- მოდით, ასე ვთქვათ - ფაჩულიას დაცვა იდეალური ნამდვილად არ არის, მაგრამ შარშანდელთან შედარებით უკეთესია. თანაც, გაითვალისწინეთ ისიც, რომ ზაზა გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალაა შეტევაში და ენერგიის რაციონალურად გადანაწილება თითქმის ყველა მატჩში უწევს. ფაჩულია ყოველთვის ბოლომდე იხარჯება, თუმცა იმდენადაც არ უნდა გადაიღალოს, რომ გადამწყვეტ მომენტში საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდეს. მთავარია, რომ მისი იმედი ნაკრების ყველა წევრს აქვს.

- დაგვეთანხმეთ, რომ ვლადიმერ ბოისასა და ნიკა ცქიტიშვილთან ერთად უფრო ძლიერი, გამოცდილი გუნდი გვყოლებოდა.

- ბოისასაც დიდ პატივს ვცემ და ცქიტიშვილსაც. მათ შეკრებაზე ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, რაც თავისთავად სასიამოვნო არ იყო და მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შეკრებაზე მათი ყოფნა ნაკრებსაც გამოადგებოდა და უშუალოდ ამ ორ მოთამაშესაც. ის კონტინგენტი, რომელიც ამ რამდენიმე ტურნირზე გვყავდა, მაქსიმალურად გამოვიყენეთ და მუდმივად სხვის იმედად ყოფნა ამ ბიჭებისადმი გარკვეული უპატივცემულობა იქნებოდა.

- შეაფასეთ ნაკრების კაპიტნის, ვატო ნაცვლიშვილის თამაში.

- ყველა გუნდში ყველგან და ყოველთვის უნდა იყოს ნაცვლიშვილის დარი გამოცდილების მქონე მოთამაშე. ნაცვლიშვილმა შეიძლება მატჩი ორი ქულით დაასრულოს, მაგრამ ის ორი ქულა შეხვედრაში გარდატეხას შეიტანს. ამასთან ერთად, ვატომ ეს სეზონი თავიდან ბოლომდე ჩაატარა და ვარჯიშებზეც დაღლა არ დატყობია. პირველ მატჩებში მან საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა და ეს არა მარტო შეტევას ეხება. ყველამ ისედაც ვიცით, რომ ნაცვლიშვილი თავდასხმაში ძლიერია. მთავარია, მან საქართველოს ნაკრების დაცვაც გააძლიეროს. ასე რომ, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენ წუთს ითამაშებს ვატო - ფაჩულიას შემთხვევის არ იყოს, მთელ გუნდს მისდამი უდიდესი ნდობა აქვს.

- რამდენიმე შეხვედრაში ნაცვლიშვილის ადგილზე ზვიად ბაბიაშვილი იდგა. მისმა თამაშმა თუ დაგაკმაყოფილათ?

- ბაბუს თითქმის ყველაფრის ათვისება ვარჯიშიდან ვარჯიშამდე უხდებოდა და შემიძლია ვთქვა, რომ ეს სავარჯიშო ციკლი მის კარიერას ულაპარაკოდ წაადგება. იგი მშრომელი ბიჭია, რომელსაც საშუალო და შორი დისტანციიდან კარგი სროლა აქვს. მოდით, მის მინუსებზე ნუ ვისაუბრებთ, რადგან ის შრომა და ლტოლვა ვარჯიშისადმი, რომელიც ბაბიაშვილს ახასიათებს, ნებისმიერი მოთამაშისთვის სამაგალითო უნდა იყოს.

- ბესიკ ლეჟავა?

- ბაბიაშვილისა არ იყოს, იგიც მშრომელი და მონდომებულია. ლეჟავა საკმაოდ ახალგაზრდაა და დარწმუნებული ვარ, ეს მისი კარიერის პირველი ეტაპია, ანუ ბესიკს გაცილებით მაღალ დონეზე თამაში შეუძლია და უნდა ითამაშოს კიდეც. იგი არა მარტო სნაიპერია, არამედ საკმაოდ კარგი პასიც აქვს. თავისთავად, არის ნიუანსები, რომელთა გამოსწორებაზე მან უნდა იმუშაოს, მაგრამ ციკლის შეჯამებისას ლეჟავას ვარჯიშსა და თამაშს დადებითად ვაფასებ.

- უკანა ხაზში ტაირონ ელისი ძირითადის მოთამაშეა. ლაშა გამყრელიძესა და გიორგი ცინცაძეს შორის უპირატესობას რომელს მიანიჭებდით?

- ამხანაგურ შეხვედრებში სასტარტოში თითქმის ყოველთვის ცინცაძე მედგა. ამავე დროს ეს არ ნიშნავს, რომ გამყრელიძეს ძირითადის წევრად არ განვიხილავ. არიან მოთამაშეები, რომლებსაც გუნდისთვის უფრო მეტი სარგებელი სკამიდან შემოსვლით მოაქვთ. გამყრელიძის შემთხვევაშიც ასეა. მას უდიდესი ენერგია შემოაქვს მოედანზე და დაცვაშიც ძალიან კარგად თამაშობს. ინგლისთან მატჩში იგი სასტარტოში დავაყენე და მიუხედავად იმისა, რომ შეტევაში მას ბევრი არაფერი გამოუვიდა, დაცვაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. რაც შეეხება ცინცაძეს, მან გააუმჯობესა ფიზიკური კონდიციები, ოდნავ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს სროლაშიც და იმედი მაქვს, ოფიციალურ შეხვედრებში "ბუ" საქართველოს ნაკრებს დიდ სარგებლობას მოუტანს.

- მისტერ შილდს, აკვირდებოდით თუ არა ჩვენი მოწინააღმდეგეების თამაშებს? ფინეთისა და ისლანდიის მატჩები ხომ არ გინახავთ?

- არა, მატჩები არ მინახავს, მაგრამ ცხადია, მათი ყველა გამოსვლის საბოლოო შედეგი და დეტალები ვიცი. ფინეთისა და ისლანდიის მატჩებამდე საქართველოში ავსტრიას ვხვდებით და ვერ ვხვდები, ამ გუნდს სერიოზულად რატომ არ განიხილავთ. ავსტრიას შარშან მხოლოდ თამაშის ბოლოს ვაჯობეთ. ამ გუნდს ჰყავს ძალიან სწრაფი უკანახაზელები, რომლებიც ნებისმიერ გუნდს პრობლემას შეუქმნიან. პრინციპში, ჩვენც სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს. ასე რომ, ჯერ ლუქსემბურგს უნდა მოვუგოთ, მერე კი თბილისში ავსტრიას ვაჯობოთ. უკვე ამის შემდეგ შეიძლება ისლანდიასა და ფინეთზე ფიქრი.

- ფლეი ოფში გასვლის შემთხვევაში, ვინ იქნება ჩვენი ყველაზე უხერხული მეტოქე?

- ფლეი ოფში გასვლის შემთხვევაში ყველაზე უხერხული მეტოქე სხვებისთვის საქართველო იქნება.

- ფინეთთან მათი ლიდერების, რანიკოს, მოტოლას, ვირტანენის წინააღმდეგ რაიმე განსაკუთრებული სქემებით თამაშს ხომ არ გეგმავთ?

- თქვენს მიერ დასახელებული მოთამაშეების გარდა, ფინეთს ჰყავს ასევე კოპონენი, რომელიც უკვე NBA-შია, თუმცა ფინეთი, პირველ რიგში, თავისი გუნდური თამაშით გამოირჩევა და ესეც რომ არ იყოს, ამ ეტაპზე მათი საუკეთესო მოთამაშეების წინააღმდეგ განსაკუთრებული დაცვითი სქემების შემუშავებაზე საუბარი ჯერ ადრეა.

- საქართველოში ნაკრების თამაშს მოუთმენლად ელიან. რას ეტყოდით ჩვენი ნაკრების ერთგულ გულშემატკივრებს?

- მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია - საქართველო და კონკრეტულად, კალათბურთის ყველა გულშემატკივარი თავისი ნაკრებით იამაყებს. მე არ გავიყვან მოედანზე გუნდს, რომლის თუნდაც ერთი მოთამაშე საქმეს უგულოდ, არაპროფესიონალურად მოეკიდება. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება კონკრეტულ შეხვედრასა და კონკრეტულ სათამაშო ეპიზოდში მოედანზე. ფაჩულიასა თუ მასზე ნაკლებად ცნობილ მოთამაშეს ყველას ერთი რამ ევალება - მოედანზე ბოლომდე უნდა დაიხარჯონ და დარბაზში შეკრებილი უამრავი გულშემატკივარი შინ ნაწყენი და იმედგაცრუებული არ გაუშვან. ვიცი და წინა მატჩებიდანაც მახსოვს, რომ ნაკრებს მხურვალედ უჭერენ მხარს. ლუქსემბურგთან საშინაო მატჩზე სპორტის სასახლე თითქმის ბოლომდე გაივსო. იმედი მაქვს, ავსტრიისა და ფინეთის წინააღმდეგ დარბაზი ახლაც სავსე იქნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველო თავისი ნაკრებით იამაყებს.

ვახტანგ ტყეშელაშვილი

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
B დივიზიონი

25 აგვისტო
საქართველო vs ავსტრია
დასაწყისი: 19.00

2 სექტემბერი
საქართველო vs ფინეთი
დასაწყისი: 19.00

სახალხო ბანკი
PEOPLE'S BANK

FM ცნობი 98.0
GEOSPORT
სასტუმრო ვარაზი
HOTEL VARAZI

ძიუდო

უნივერსიადა

ბანგკოკი დასრულდა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა მარცხით დაასრულა გამოსვლა ბანგკოკში მიმდინარე მსოფლიო უნივერსიადაზე - გუშინ, გუნდურ პირველობაში ჩვენები პირველივე შეხვედრაში ბელარუსებთან დამარცხდნენ - 2:3 (2 შეხვედრა ფრედ დამთავრდა). სამწუხაროდ, ჩვენებს არც სანუგეშოში გადართვის საშუალება მიეცათ - მეოთხედფინალში ბელარუსები იაპონელებთან დამარცხდნენ და ჩვენებიც ასე უსახელოდ გამოვარდნენ ტურნირიდან.

უნივერსიადა დღეს დამთავრდება, თუმცა ქართველებმა უკვე დაასრულეს გამოსვლები. ქართული დელეგაციის მონაგარი თითო ოქრო და ბრინჯაოა, რაც მთლიანად ძიუდოისტებისაა. უნივერსიადის ჩემპიონი **გრიგოლ შინჯიკაშვილი** (81) გახდა, **ადამ ოქრუაშვილი** კი აბსოლუტურში მესამეზე გავიდა.

სამწუხაროა, რომ ქართული სპორტის უსიამოვნო ტრადიცია ვერც ტაილანდში დაირღვა და როგორც მსგავს კომპლექსურ სპორტულ შეჯიბრებათა უმეტესობაში, ამჯერადაც მთლიანად მოჭიდავეთა იმედად დავრჩით. კიდევ კარგი, მსოფლიოში ჭიდაობა იმდენად პოპულარულია, ორგანიზატორებს ძიუდო ან რომელიმე ოლიმპიური საჭიდაო სახეობა სისტემატურად შეაქვთ პროგრამაში, თორემ ქართული დელეგაცია მთლიანად სტატისტის როლში აღმოჩნდებოდა. ახლა, უნივერსიადაზე ამ ორად ორი მედლით საქართველო 42-ე ადგილზეა.

ირაკლი თავაძე

მსოფლიო ჩემპიონატი

შვიდეული ცნობილია

პირველი გვერდიდან

ცოტა რთული გადასაწყვეტი გახლდათ აბსოლუტურის საკითხი, სადაც ხაბარელი ბოლომდე არც ხანჯალიაშვილს ემადლიერებოდა და არც - **ადამ ოქრუაშვილს**. ხანჯალიაშვილს გერმანიაში არც კი მიეცა შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება - პირველივე ბრძოლა წააგო და გავარდა. იმავე პერიოდში ოქრუაშვილმა უნივერსიადაზე იჭიდავა - მძიმესა და აბსოლუტურში და ამ უკანასკნელში ბრინჯაოც მოიპოვა, მაგრამ ხაბარელი მაინც ხანჯალიაშვილს ენდო. მწვრთნელი ცოტა იმან დააფიქრა, რომ ოქრუაშვილმა უნივერსიადაზე ორივე წონაში სამი ბრძოლა წააგო. ეს ცოტა საკამათო საკითხია - ხანჯალიაშვილსაც ამდენი რომ ეჭიდავა, კაცმა არ იცის, რამდენს წააგებდა - უფრო ნაკლებს თუ მეტს, მაგრამ, ჩანს, ხაბარელმა ის გაითვალისწინა, რომ ხანჯალიაშვილი უფრო გამოცდილია და ამ ეტაპზე პირად შეხვედრებში უგებს ოქრუაშვილს. თანაც, ისიც სათქმელია, რომ ოქრუაშვილმა ტაილანდში, უნივერსიადაზე საჭიდაოდ აკლიმატიზაცია ერთხელ უკვე გაიარა და მალევე იგივე ბრაზილიაშიც მოუწევდა, რაც ძალზე რთული იქნება.

შოთა ხაბარელი

და აქვე ერთი ჩვენეული ვარაუდიც, რომელზეც მწვრთნელი არ საუბრობს, მაგრამ მთელ რიგ სარწმუნო ფაქტებზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ თუ ხანჯალიაშვილი სათანადო ფორმაში ვერ შევა, არაა გამორიცხული, მწვრთნელმა გადაწყვეტილება შეცვალოს და აბსოლუტურ პირველობაშიც **ლაშა გუჯეჯიანი** გამოიყვანოს. ვიმეორებთ - ეს ჩვენი ვარაუდია, თუმცა საკმაოდ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობილი და საჯაროზე მის გამოტანასაც ამიტომ ვბედავთ.

ამჟამად ძიუდოისტთა ნაკრები ბორჯომშია შეკრებაზე, სადაც თვის ბოლომდე დარჩება, მერე თბილისში დაბრუნდება და 1 სექტემბერს რიო დე ჟანეიროში გაემგზავრება დასკვნით შეკრებაზე. ცხადია, ამით აკლიმატიზაციის პრობლემაც მოგვარდება, ეს ყველაფერი კი ოლიმპიური ფონდის ფინანსური დახმარებით შეძლეს - მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების მთელ ციკლს სწორედ ის აფინანსებს.

საბედნიეროდ, გუნდში პრობლემები არც ჯანმრთელობის მხრივაა. ხერგიანს უკვე მოურჩა ნატკენი ფეხი, რის გამოც ბრაუნშვაიგის ტურნირი გამოტოვა, და ახლა თითქმის სრულად იტვირთება. ასევე ლამის ბოლომდე მოგვარდა ქევხიშვილის ამბავიც - მას ნაღვლის ბუშტი აწუხებს, სხვები კი ჯანმრთელად არიან.

ჭრიჟი

შოშიაშვილი მესხაძემ შეცვალა

თენგიზ მესხაძე

საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელთა შტაბში მოულოდნელი ცვლილება მოხდა - მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე **ავთანდილ შოშიაშვილი თენგიზ მესხაძემ** შეცვალა.

ამის მიზეზი ბატონი ავთანდილის ავადმყოფობა იყო. შოშიაშვილმა კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობას თავად სთხოვა გათავისუფლება. მკითხველს შევახსენებთ, რომ ნაკრების თავკაცი ბოლო ორ წელიწადში მესამედ შეიცვალა. შარშან თენგიზ მესხაძის ნაცვლად მოკრივეებს სათავეში **დავით ცერცვაძე** ჩაუდგა. ამ ზამთარს მის ნაცვლად მთავარ მწვრთნელად ავთანდილ შოშიაშვილი დაინიშნა, ხოლო თენგიზ მესხაძის ნაკრებში დაბრუნებაზე უკვე გესაუბრეთ.

ბოლო დროს ქართველი მოკრივეების შედეგებს რომ გადავხედოთ, თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ ყველაზე წარმატებული მწვრთნელი სწორედ მესხაძეა. მის აქტივში ევროპის ჩემპიონატის ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაოა. ვერცხლის მედალი **ზვიად იზორიამ** მოიგო, ხოლო ორივე ბრინჯაო **კოტე კუპატაძის** ანგარიშზეა. თენგიზ მესხაძე საქართველოს ნაკრებს ათენის ოლიმპიადაზე ხელმძღვანელობდა და ისეთი პირი უჩანს, რომ პეკინის ოლიმპიადაზეც იგი გაიყვანს რჩეულ ქართელ მოკრივეებს. მანამდე ახალ მწვრთნელს არანაკლებ სერიოზული გამოცდა ელის - 27 ოტომბერს ქალაქ ჩიკაგოში მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება.

მწვრთნელთა ცვლილების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან **ვლადიმერ ახალკაცს**:

- თენგიზ მესხაძის დაბრუნების მთავარი მიზეზი ავთანდილ შოშიაშვილის ავადმყოფობაა. მას ბოლო დროს ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუუარესდა და თვითონ მოგვმართა თხოვნით გათავისუფლების შესახებ. გაშვება არ გვსურდა, რადგან შოშიაშვილს ქართული კრივის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის, გამოცდილი მწვრთნელია, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ჯანმრთელობა ნორმალურად მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. ბატონი ავთანდილი მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ცუდად შეიქნა... ვიმედოვნებთ, რომ იგი ერთ თვეში გამოკეთდება და მწვრთნელთა საბჭოში შევთავაზებთ სამუშაოს. თავის მხრივ, თენგიზ მესხაძეც გამოცდილი და წარმატებული მწვრთნელია და ვფიქრობთ, მის ხელში მოკრივეთა ნაკრები არაერთ მედალს მოიპოვებს.

კობა ხატისაშვილი

ჭიდაობა

რუმინეთ-ესპანეთს საემიროები დაემატა

ქართველ მოჭადრაკეთა "გასტროლებზე" წერა კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს. რუმინეთში, ქალაქ პრედიალში მიმდინარე ღია ტურნირზე ერთი კვირაა ვწერთ, ესპანეთში მოთამაშე ხუთ ქართველზეც გიამბობდით და თუ კარგად გახსოვთ, ამათ პირენეის ნახევარკუნძულზე კიდევ უწევთ თამაში. ამ ორ ტურნირს კიდევ მესამეც შეემატა, რომელიც სიძლიერითაც და მნიშვნელობითაც აღემატება მათ - არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, კერძოდ აბუ-დაბიში ყოველწლიური საჭადრაკო ფესტივალი დაიწყო. საემიროებში ოთხი ქართველია წასული: **ბაადურ ჯობავა** (2644), **ლევან ფანცულაია** (2611), **ზურაბ სტურუა** (2517) და **მიხეილ კეკელიძე** (2445).

აბუ-დაბიში 22 ქვეყნის 70 მონაწილე შეიკრიბა. აქედან 23 დიდოსტატია, მათ შორის - 5 ქალი. ტურნირი 9 ტურად ეწყობა, გამარჯვებული 4000 დოლარს მიიღებს.

ქართველები ტურნირის ფავორიტებად ითვლებიან: ჯობავა მეორეა რეიტინგით, ფანცულაია კი - მესამე. პირველი უკრაინელი **ევგენი მიროშნიჩენკოა** (2671).

დღეისათვის ხუთი ტურია გასული და სამწუხაროდ, ჯობავა ისე ვერ თამაშობს, როგორსაც ველოდით. სამაგიეროდ ლევან ფანცულაიას 4 ქულა აქვს და ლიდერებშია. ლევანმა მშვენიერი სტარტი აიღო, სამიდან სამი გამარჯვება მოიპოვა და მეოთხეში თეთრებით ეგვიპტელ **ამინ ბარემს** ხვდებოდა. ამინი 2535 ქულით მეთხუთმეტეა ტურნირზე, ამიტომ ქართველის გამარჯვების გვეიმედებოდა, თუმცა საპირისპიროდ კი მოხდა და ლევანმა ქულა დაკარგა.

როგორც ჩანს, ამინ ბარემი შესანიშნავ ფორმაშია და ფანცულაიას დამარცხების შემდეგ ტურნირის პირველ ნომერ ევგენი მიროშნიჩენკოსაც დააყრევინა ფარ-ხმალი; ხუთი ტურის შემდეგ ხუთი ქულა აქვს და ძალიან დიდი განაცხადი გააკეთა საბოლოო წარმატებაზე.

ჯობავამ მეორე ტურში შავებით ისეთ მოჭადრაკესთან წააგო, სხვა დროს ათიდან ათჯერ რომ აჯობებდა - ბანგლადეშელი **ემანუილ ჰორენი** ტურნირზე მეცხრამეტეა. ერთი ყაიმითაც ითამაშა არცთუ ძლიერ მეტოქესთან და დღეისთვის 3,5 ქულა აქვს.

ცუდი არა, მაგრამ არც სუკეთესო შედეგი აქვთ ზურაბ სტურუას და მიხეილ კეკელიძეს - ორივეს 3-3 ქულა დაუგროვდა და 26-28 ადგილებზე არიან.

მეექვსე ტურში ფანცულაია და ჯობავა ერთმანეთს ეთამაშებიან. წელს ესენი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონატში და მაშინ შავებით ჯობავამ იმარჯვა. ასე რომ, ლევანს რევანშის კარგი შანსი აქვს.

ესპანურ ლეგიონს კი ავსტრიიდან **დავით შენგელიაც** შეემატა. ისინი ამჯერად ქალაქ ბანიოლესში თამაშობენ. შენგელია ტურნირზე მეორეა რეიტინგით (2572); პირველი კი ლეგენდარული ინგლისელი მოჭადრაკე **ნაიჯელ შორტია** (2683).

შეგახსენებთ ქართული ლეგიონის შემადგენლობას: **ლევან არაშიძე, ანა მათნაძე, სოფიკო გურამიშვილი, სოფიკო ნიკოლაძე და მარიამ დანელია.**

ბანიოლესში ჯერ მხოლოდ ერთი ტურია განვლილი. შენგელიამ, ნიკოლაძემ და არაშიძემ მოიგეს; გურამიშვილმა და მათნაძემ ქულა გაიყვეს, ხოლო დანელიამ წააგო.

რუმინულ პრედიალში კი დასასრულს უახლოვდება შეჯიბრი. **ლელა ჯავახიშვილმა** მეექვსე და მეშვიდე ტურებში ყაიმით დაასრულა პარტიები და 5,5 ქულა აქვს, ეს მაჩვენებელი კი ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმცა პირველობისთვის არ კმარა - ლელა მეორე-მერვე ადგილებს იყოფს. პირველზე კი ისეთი მოჭადრაკეა, ვერავინ რომ ვერ იფიქრებდა - **დანიელ ბარტოშს** 6 ქულა აქვს, წოდება კი - უმდაბლესი - მხოლოდ ფიდეს ოსტატია.

მეექვსე-მეშვიდე ტურებში სოფიო გვეტაძემაც ყაიმით ითამაშა და მერვე ტურის წინ 4 ქულა აქვს.

ზვიად შათირიშვილი

თეატრი

ვლადიმერ უგრეხელიძე. დაიბადა 18.08. 1939, თბილისი. კალათბურთი (192 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1958-74). სსრკ ნაკრების წევრი (1960-65), 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1963), ევროპის ჩემპიონი (1961), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ ჩემპიონი (1968), სამგზის მეორე (1960, 61, 69) და მესამე (1965) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1969). მაღალი ნახტომისა და ჰაერში შეყოვნების უნარის გამო მეტსახელად "პტიცა" შეარქვეს. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, თსუ-ის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე (1997-2005), დოცენტი, ღირსების ორდენის კავალერი.

ვლადიმერ გოგოლაძე. დაიბადა 18.08.1966, თბილისი. სპორტული ტანჭიში. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ევროპის ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი (1985, მრავალჭიდი და ორძელი), ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1984, თავისუფალი ვარჯიში და ღერძი) და ვერცხლის პრიზიორი (1984, მრავალჭიდი). სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის (1986) ჩემპიონი (ღერძი), მეორე (მრავალჭიდი) და ორგზის მესამე (ტაიჭი, გუნდური ჩათვლა) პრიზიორი, სსრკ ჩემპიონატის სამგზის მეორე (1985, 89) და ორგზის მესამე (1988) პრიზიორი. იაპონიის, ინგლისის, მოსკოვისა და რიგის ტურნირებში გამარჯვებული. მსოფლიოში პირველმა შეასრულა სამმაგი მალაყი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.

ბაქო ახლოსაა

ჭიდაობა. ახლოვდება მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი - 17-22 სექტემბერს გაიმართება ბაქოში და ჩვენი გუნდებიც თანდათან ამთავრებენ მზადებას. "თავისუფალთა" ნაკრები უკვე ბორჯომშია შეკრებაზე, "ანტიკოსები" კი ხვალ მინსკში, "სტაიკის" ოლიმპიურ ბაზაზე მიდიან ერთობლივ ვარჯიშებზე. **ბეგი დარჩიას** იქ 12 მოჭიდავე მიჰყავს, **ზაზა თურმანიძის** განკარგულებაში კი გაცილებით მრავალრიცხოვანი ნაკრებია. წინასწარი მონაცემებით, მინსკში ძლიერი შემადგენლობა უნდა შეიკრიბოს და შეკრებაც ნაყოფიერი უნდა გამოდგეს. ვფიქრობთ, ის მართლაც ძალიან წაადგება ჩვენს ფალავნებს.

რაც შეეხება ქომაგთათვის ყველაზე საინტერესო საკითხს - მსოფლიო ჩემპიონატებზე წასაყვანი შემადგენლობების დასახელებას, მის გამოცხადებას ბოლო შეკრებამდე არც ერთი მწვრთნელი არ ჩქარობს.

დასაძლევია უნგრული კომპლექსი

ჩოგბურთი. ლადო ჩიხლაძე მიუნხენის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ნახევარფინალში გავიდა. 22 წლის ქართველმა კარიერაში მეხუთედ დაამარცხა გერმანელი **დავიდ კლირი** (587) - 6:3, 6:2. ეს ჩიხლაძის ზედიზედ მეცამეტე გამარჯვებაა პროფესიულ ასპარეზზე. ნახევარფინალში ქართველის მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი უნგრელი **კორნელ ბარდოჩკი** (514) იქნება. 29 წლის უნგრელს ლადო კარიერაში ორჯერ შეხვედრია, 2005 წელს ის უნგრეთში დამარცხდა ბარდოჩკისთან, შარშან კი ასევე უნგრეთში დევისის თასზე წააგო დღევანდელ მეტოქესთან. მეორე ნახევარფინალურ მატჩში მე-3 ნომრად განთესილი ჩეხი **მარტინ ვაჩეკი** (503) მოლდოველ **რადუ ალბოტს** შეხვდება. ახალგაზრდა ალბოტი საკვალიფიკაციო ბადიდან გავიდა ტურნირის ნახევარფინალში.

წაგება და მეჩვიდმეტე

პლაჟბურთი. ტაილანდში, მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, მე-17 ადგილზე დაასრულა ასპარეზობა პლაჟბურთის ქართულმა წყვილმა **გეორგიამ.** ასპარეზობის მესამე დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა მესამე ნომრად განთესილ გერმანელებთან **რეკერმანთან** და **ურბაციკისთან** წააგეს - 1:2 (21:19, 14:21, 13:15). შედეგად გეორგიამ 120 სარეიტინგო ქულა და 3 000 ამერიკული დოლარი მიიღო.

მორიგ ეტაპზე ჩვენი პალუბურთელები 28-31 აგვისტოს სანკტ პეტერბურგში იასპარეზებენ. მანამდე კი ვალენსიაში, 24-26 აგვისტოს, ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ.

 კრივი

WBA უარყოფს

კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ვიცე პრეზიდენტი **ხილბერტო ხესუს მენდოსა** აცხადებს, რომ ასოციაცია არ აპირებს თავისი ეგიდით ზემძიმე წონაში დროებითი ჩემპიონის გამოსავლენად ოთხთა ტურნირის ჩატარებას.

ეს უარყოფა მოჰყვა პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს, ზემძიმე წონის ჩემპიონის, უზბეკი **რუსლან ჩაგაევის** გამოჯანმრთელებამდე (მას "ბე" ჰეპატიტი შეეყარა), WBA-ს დროებითი ჩემპიონის გამოვლენა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ ტიტულის მფლობელი კი მოგვიანებით, ჩაგაევს ტიტულს შეეცილებოდა. იმავე ინფორმაციით, ტურნირში მონიწალეობა უნდა მიეღოთ **ნიკოლაი ვალუევს, სერგეი ლიახოვიჩს, ჯონ რუისსა** და უკრაინელ **ტარას ბიდენკოს**.

ჩაგაევი ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლაში, WBO-ის (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) ჩემპიონს, რუს **სულთან იბრაგიმოვს** უნდა შეხვედროდა. მაგრამ ეს ბრძოლა რომ გადაიდო, რუსმა პრეტენდენტად ლეგენდარული **ევანდერ ჰოლიფილდი** აირჩია.

შეხვედრა მედისონზე

გადაწყდა, რომ WBA-ის ვერსიით, როჭოს წონის მსოფლიო ჩემპიონი, პუერტო რიკელი **მიგელ კოტტიტულის** დასაცავად ამერიკელ **შეინ მოსლის**, ვინც ადრე სამ წონაში ყოფილა მსოფლიო ჩემპიონი, ათ ნოემბერს ნიუ იორკში, "მედისონ სკვერ გარდენის" არენაზე შეხვდება.

"მიხარია, რომ კვლავ მომეცემა "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე ბრძოლის საშუალება. ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა იქნება და მისთვის სრული მონდომებით მოვემზადები. შეინი ძალიან ძლიერი მოკრივეა, მაგრამ ჩვენს ბრძოლაში ის ვერ გახდება უძლიერესი. რინგს ისევე დავტოვებ, როგორც მასზე ფეხს შევდგამ - დაუმარცხებელი", - იქადნის კოტო, ვისაც პროფესიულ რინგზე ჯერ ბრძოლა არ ნაუგია.

ფორმულა 1

მაკლარენს დრო დაუნიშნეს

მოტორ სპორტის საერთაშორისო საასპელაციო სასამართლომ "მაკლარენს" აპელაციის მოსმენის თარიღად 19 სექტემბერი გამოაცხადა. ამ აპელაციით, ინგლისური გუნდი უნგრეთის დიდ პრიზზე, კონსტრუქტორთა პირველობიდან ჩამონერილი ქულების აღდგენას ცდილობს.

შეგახსენებთ, რომ ბუდაპეშტის რბოლა "მაკლარენს" ბრიტანელმა ახალბედა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** მოიგო, მისი ესპანელი თანაგუნდელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო** კი მეოთხე ადგილს დასჯერდა. მათი ადგილების შესაბამისად, "მაკლარენს" 15 ქულა უნდა მიეღო, მაგრამ ეს ქულები საკვალიფიკაციო სესიაზე მომხდარი ინციდენტის გამო დაექვითა.

აღნიშნული ინციდენტის დროს, კვალიფიკაციის ბოლო წუთებზე, ალონსო ბოქსში ზედმეტად შეყოვნდა, რითაც თანაგუნდელს ბოლო სწრაფი წრის გავლაში შეუშალა ხელი.

ოლიმპიზმი

ერიდეთ მეხს

ჩინურმა სააგენტო "სინჰუამ" გაავრცელა ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ პეკინის ჩრდილოეთში მდებარე უბან ჰაიდენში, სადაც რამდენიმე ოლიმპიური კომპლექსი შენდება, ხშირია მეხის გავარდნის შემთხვევები. მეტეოროლოგებმა დაადგინეს, რომ ამის მიზეზი იმ ჰაიდენის უბანში მდებარე მძლავრი ელექტრონული დანადგარებისა და ცათამბჯენების არსებობა შეიძლება იყოს. მეხისადმი მიდრეკილება პეკინის ჩრდილოეთით მდებარე კიდევ ერთ უბანს, ჩაოიანისაც ახასიათებს. ამავდროულად, კვლევის ავტორი მეტეოროლოგები არაფერს ამბობენ, აღნიშნული მიდრეკილება რაიმე საფრთხეს შეუქმნის თუ არა ოლიმპიურ ნაგებობებს.

იმავე კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩინეთის ჩრდილოეთ რეგიონში, მეხისადმი ყველაზე მეტად მიდრეკილი პეკინის შემოგარენია. სინჰუას მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მარტო წელს, მთელს ჩინეთში, მეხის დაცემით 499 ადამიანი დაღუპულა. ეს კი შარშანდელ ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 199-ით მეტია. ამასთან, შარშან მეხმა ჩინეთში 717 ადამიანი მოკლე და 640 დაასახიჩრა.

კალათბურთი

დათვებს ნავარო შეემატათ

ცნობილი გახდა, რომ "ვაშინგტონ უიზარდსი" ტრეიდს განახორციელებს "მემფის გრიზლისთან", რის საფუძველზეც, დათვების რიგებს მომავალ სეზონში ესპანელი მცველი **ხუან კარლოს ნავარო** შემატება, რის სანაცვლოდაც, მემფისელები ვაშინგტონელებს მომავალ დრაფტზე კალათბურთელის პირველ რაუნდში არჩევის უფლებას უთმობენ.

"ვიზარდსმა" ნავარო 2002 წლის დრაფტზე, მეორე რაუნდში აიყვანა, მაგრამ თავისი უფლება აქამდე არ გამოუყენებია. სამაგიეროდ, ამ პერიოდში ნავარო მეტად ნარმატებულად გამოდის ესპანულ კლუბ "ბარსელონაში".

"ჩვენ მოხარულები ვართ, რომ მომდევნო დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლებას ვიძენთ. ჩვენ საშუალება გვექნება, დრაფტზე ის კალათბურთელი ავიყვანოთ, ვინც ჩვენს გუნდს უკეთ გამოადგება", - ამბობს "ვიზარდსის" პრეზიდენტი **ერნი გრუნფელდი**.

რაც შეეხება ნავაროს, გასული სეზონის დასრულების შემდეგ, "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ კონტრაქტის გამოსყიდვის უფლება მისცა. ნავაროს ესპანეთის ჩემპიონატში სულ ცხრა სეზონი აქვს ჩატარებული, რომლებშიც საშუალოდ შეხვედრაში 12.6 ქულას აგროვებდა. მასთან ერთად, კატალონიური კლუბი ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ერთხელ კი ევროლიგა მოიგო. შარშან კი, ესპანეთის ნაკრებთან ერთად, ნავარო მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

სხვათა შორის, ნავაროს "მემფისში" ესპანეთის ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშე, **პაუ გასოლი** დახვდება.

ხუან კარლოს ნავარო

18 აგვისტო. შაბათი.

EUROSPORT

06.00. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია. I დღე
13.00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ყაზახეთი- რუსეთი (იაპონიიდან)
15.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-17. კორეა-ინგლისი
18.00 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან პრი
18.45 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან პრი. კვალიფიკაცია
20.00 ველოსპორტი. ვუელტა. ბურგოსი. V ეტაპი
21.00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ქალები. ფინალი (ფინეთიდან)
22.00 გასართობი პროგრამა
22.30 ტრანპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან პრი
00.15 ჩოგბურთი. ქალები. ტორონტო
00.45 კრივი. რიკი ჰატონი - ხუან კასტილიო (ლას ვეგასიდან)
04.00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია. II დღე

EUROSPORT 2

06.00 ახალი ამბები
06.30 ჩოგბურთი. ქალები. ტორონტო
08.00 ახალი ამბები
12.30 ახალი ამბები
14.00 ექსტრიმი
15.00 გასართობი პროგრამა
15.30 კალათბურთი. უნივერსიადა. კაცები. ფინალი (ბანგკოკიდან)
17.00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჰონვედი (უნგრეთი) - ჰამბურგი (გერმანია)
18.00 ფრენბურთი. უნივერსიადა. კაცები. ფინალი (ბანგკოკიდან)
20.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-17. კორეა-ინგლისი (კორეიდან)
21.00 ფრენბურთი. უნივერსიადა. კაცები. ფინალი (ბანგკოკიდან)
22.00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური (ფინეთიდან)
23.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-17. ბრაზილია-ახალი ზელანდია (კორეიდან)
00.00 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან პრი. კვალიფიკაცია
01.00 ექსტრიმი
03.00 გასართობი პროგრამა
04.00 ახალი ამბები
04.15 მოტორბოლა. ჩეხეთის გრან პრი. კვალიფიკაცია
05.15 ახალი ამბები

SPORT 1 (უკრაინა)

07.00 უეფას თასი. ჰაიდუკი-სამპდორია
08.45 სპორტკლუბი წარმოგიდგენთ: უკრაინული კრივი
09.00 ახალი ამბები
09.10 უკრაინის სპორტის ისტორია. 1962 წელი
09.28 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1989 წელი. ევერტონი-ლივერპული. ფინალი. I ტაიმი
10.18 ახალი ამბები
10.30 ევერტონი-ლივერპული. II ტაიმი
11.22 ფეხბურთი. პრემიერ ლიგის სამყარო
11.56 ჩოგბურთი. მიმოხილვა. კაცები
12.23 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-აკადემიკა
14.11 სპორტის სამყარო
14.40 გზა პეკინისკენ
15.10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ
15.45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ბოლტონი (LIVE)
16.35 სპორტკლუბი წარმოგიდგენთ: ჩემპიონთა ლიგა
17.38 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი
19.25 სპორტული ალმანახი
19.45 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. VI ტურის წინ
20.00 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტავრია-ხარკოვი (LIVE)
20.50 უკრაინის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 ტავრია-ხარკოვი. II ტაიმი
21.53 ტავრია-ხარკოვის გარჩევა
22.08 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ
22.29 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-დერბი
00.14 სპორტის სამყარო
00.41 გზა პეკინისკენ
01.10 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-პარანა (LIVE)
03.09 რეტრო-ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1989 წელი. ევერტონი-ლივერპული. ფინალი
04.58 უკრაინის სპორტის ისტორია. 1962 წელი

კვირა. 19 აგვისტო

EUROSPORT

06.30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია. II დღე
13.00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ყაზახეთი-პოლონეთი (იაპონიიდან)
15.00 მოტოსპორტი. ჩეხეთის გრან პრი. გახურება
15.30 მოტოსპორტი. ჩეხეთის გრან პრი. კვალიფიკაცია
15.45 მოტოსპორტი. ჩეხეთის გრან პრი. რბოლა (125 კუბ.სმ)
17.00 მოტოსპორტი. ჩეხეთის გრან პრი. რბოლა (250 კუბ.სმ)
18.15 მოტოსპორტი. ჩეხეთის გრან პრი. მოტო გრან პრი
20.00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ფინეთი
20.30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ფინალი. კაცები (ფინეთიდან)
21.30 ფეხბურთი. მალაიზიის თასი (ფინალი)
23.00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ყაზახეთი-პოლონეთი (იაპონიიდან)
00.00 ტრანპლინიდან ხტომა. 4 ერის გრან პრი
01.00 ჩოგბურთი. ქალები. ტორონტო. ფინალი
03.00 სუმო. ნაგოია ბაშო
04.00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია. III დღე
04.30 ავტო და მოტოსპორტი. ჟურნალი
05.00 ველოსპორტი

EUROSPORT 2

06.00 ჩოგბურთი. ქალები. ტორონტო
08.00 ახალი ამბები
12.30 ახალი ამბები
14.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-17. ნიგერია-საფრანგეთი (კორეიდან)
17.00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. იაპონია-რუსეთი (იაპონიიდან)
18.00 ახალი ამბები
18.15 ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ყაზახეთი-პოლონეთი (იაპონიიდან)
19.00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (ირლანდიიდან)
20.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-17. არგენტინა-საუდის არაბეთი (კორეიდან)
21.00 მოტოსპორტი. ჩეხეთის გრან პრი
22.00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (ირლანდიიდან)
23.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-17. ნიგერია-საფრანგეთი (კორეიდან)
00.00 ავსტრალიური ფეხბურთი. ბრისბეინი-სიდნეი
01.00 ექსტრიმი
03.00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. U-17. არგენტინა-საუდის არაბეთი (კორეიდან)
04.00 ახალი ამბები
04.15 მოტოსპორტი. ჩეხეთის გრან პრი
05.15 ახალი ამბები

SPORT 1 (უკრაინა)

07.00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ
07.23 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე 04-ბორუსია (დ)
09.11 მინი-მოედანი. ბერეშას სახელობის ტურნირი
09.42 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი
11.30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ასტონ ვილა
13.18 სპორტის ლეგენდარული სახეები: სერგეი ბუბკა
13.46 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-პორტუ
15.35 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ
16.30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE)
18.29 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა
19.00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ჩელსი (LIVE)
20.58 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ლევერკუზენი
22.45 სპორტკლუბი წარმოგიდგენთ: ჩემპიონთა ლიგა
23.00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ჟუვენტუდი-კორინთიანსი (LIVE)
00.57 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი
02.44 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო-პარანა
04.41 სპორტის ლეგენდარული სახეები: სერგეი ბუბკა
05.00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ასტონ ვილა
06.47 უკრაინის სპორტის ისტორია. 1963 წელი

სხელი ხეფზი

ფეხბურთი

ამხანაგური მაჯრები

ვილიარეალი-ლეიფერნო	გადაიდო
მილანი-იუვენტუსი	2:0
მურსია-პენიაროლი	გადაიდო

გერმანია

I გუნდესლიგა

კარლსრუე-პანოვერი	1:2

II გუნდესლიგა

ფრაიბურგი-პადერბორნი	1:0
კოლონია-აუგსბურგი	2:1
ვეენი-ოსნაბრიუკი	1:1

ჩრდ. რეგიონალლიგა

ბრაუნშვაიგი-ბაბელსბერგი	1:3

სამხ. რეგიონალლიგა

მიუნხენი II-კარლსრუე II	2:1
კიკერსი-ზიგენი	1:1

საფრანგეთი

II ლიგა

ანეერი-აიაჩო	1:0
ბასტია-გენიონი	1:0
შაგორუ-ლიმორნი	2:0
კლერმონი-ბრესტი	1:0
გინგამი-ბულონი	4:2
რეიმსი-ნიორი	3:1
სედანი-ლიმონი	0:1
ამიენი-გრენობლი	1:2
მონპელიე-ბრუა	3:0

პოლანდია

ერედივიზიონი

ალკმარი-ვილემ II	0:0

იუპილერ ლიგა

ეინდჰოვენი-აქსელორნი	3:3
დენ ბოსჩი-ომმენბოლდი	4:1
ფორდრეხტი-ბოა ოსი	1:1
ფენლო-ეინდჰოვენი	3:3
ფორგენა-ფოლენდამი	0:1
ვაალვიკი-ალმაერი	6:3
ვეენდამი-ფაასტრიხტი	0:0

ფინეთი

აგლანტისი-ბამპერე	3:0

ბელგია

ბრიუგე- სენ ტრიუიენი	3:2

პორტუგალია

სპორტინგ-აკადემიკა	4:1

ავსტრია

I გუნდესლიგა

ალტაჩი-პაშინგი	4:1

II გუნდესლიგა

აუსტრია II-პარნდორფი	2:2
ლუზენაუ-კარნტენი	4:0
კაფენბერგი-ზალცბურგი II	1:1
შვანენშტადტი-ლეობენი	1:1
ბადი-ტრაბკირნი	0:0

შვეიცარია

ჩელენჯ ლიგა

ლინკერლია-ვინტერთური	2:2
ვადუცი-სერვეტი	5:1

თურქეთი

გენჩლერბირლიგი-ტრაბზონსპორი	0:2

ირლანდია

თასი

ბრეი უონდერერსი-სტ. პატრიკსი	1:2
კორკ სიტი-კილკენი	5:1
ლიმერიკი-დუბლინი	1:1
უოტერფორდი-სლიგო როვერსი	1:1

უკრაინა

ვორსკლა-არსენალი	2:1

პოლონეთი

ლოძი-ლეგია	0:1
ბორნიკი-რუხი	1:0

ხორვატია

ინგერი-შიბენიკი	2:2

სერბეთი

ოფკ ბელგრადი-ბორაცი	2:0

უნგრეთი

მგკ-დებრეცენი	3:2

ჩოგბურთი

ATP. სინსინატი

ფედერერი-ალმაგრო	6:3, 3:6, 6:2
ჰიუიტი-მოია	6:2, 6:4

WTA. ბორონგრ

იანკოვიჩი-რასანო	7:5, 6:2
კუზნეცოვა-გოლოვინი	6:2, 5:7, 1:6



რუბენს ბარიკელო

ფორმულა 1. ჰონდა

ბარიკელო აეროდინამიკით უკმაყოფილია

"ჰონდას" ბრაზილიელი პილოტი **რუბენს ბარიკელო** აცხადებს, რომ ამ სეზონში გუნდის წარუმატებლობათა მთავარი მიზეზი ბოლიდის აეროდინამიკის შემუშავებისას დაშვებული შეცდომებია. ეს კი, თავის მხრივ, აეროდინამიკური მილის მშენებლობის დროს დაშვებულმა უზუსტობებმა გამოიწვია.

რუბინიო უნგრეთის რბოლამდე რამდენიმე დღით ადრე ეწვია "ჰონდას" ბაზას, რომელიც ინგლისის ბრეკლიში მდებარეობს. იქ კი, გუნდში მოწვეულმა ახალმა აეროდინამისტებმა უთხრეს, რომ ბოლიდის არაკონკურენტუნარიანობის მთავარი მიზეზი აეროდინამიკური მილია.

"ბაზაზე სტუმრობისას, აეროდინამისტებმა ჩვენ წარუმტებლობათა ზუსტად ის მიზეზები დამისახელეს, რომლებზეც მანამდეც ვეჭვობდი. როგორც ირკვევა, მილის მშენებლობის დროს დაშვებულ იქნა შეცდომები. კერძოდ, მისი არასწორი კალიბრაცია მოხდა. ამის გამო, ბოლიდის მილში გამოცდის დროს, ჩვენ აბსოლუტურად არარეალურ მონაცემებს ვღებულობდით. შესაბამისად, მანქანის აეროდინამიკის დახვეწაც შეუძლებელი იყო", - ამბობს ბარიკელო.

პილოტის თქმით, ამ შეცუდომების გამოსწორება შესაძლებელია, თუმცა ეს გუნდს ძალიან ძვირი დაუჯდება და ამაზე გარკვეული დროც დაიკარგება. კერძოდ, სიტუაცია მინიმუმ ერთი თვე არ შეიცვლება. არადა, ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ეტაპია დარჩენილი. ეს მაშინ, როცა "ჰონდას" აქტივში ბრიტანელი **ჯენსონ ბატონის** მიერ საფრანგეთში მოპოვებული ერთადერთი ქულა ირიცხება. შედარებისთვის, შარშანდელი სეზონი "ჰონდამ" 86 ქულით მეოთხე ადგილზე დაასრულა.

რაც შეეხებათ აეროდინამიკის იმ სპეციალისტებს, რომლებიც გუნდში შუა სეზონში გადაბირეს. ესენი არიან ფრანგი სპეციალისტი **ლოიკ ბიუუა,** ვინც ჯერ კიდევ "უილიამსში" მუშაობისას დააგროვა გამოცდილება, იაპონურ საჯინიბოში კი მთავარი აეროდინამისტი იქნება. მას კი ასისტენტობას გაუწევს "ბეემვედან" გადმობირებული **ჯონ ოუენი**.

სხვათა შორის, "უილიამსისა" და "ბეემვეს" ბოლიდებს ამ სეზონში აეროდინამიკის მხრივ, კარგი მანქანები აქვთ მომზადებული, რაც მეტწილად ბიუუასა და ოუენის დამსახურებაა.

"თუ დავრწმუნდებით, რომ მილზე ჩატარებული მოდიფიკაციის შემდეგ, ის კარგად იმუშავებს, მაშინ იმის იმედიც გაჩნდება, რომ მომავალი სეზონისთვის კონკურენტუნარიანი მანქანის მომზადებას შევძლებთ. მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც მოხდება", - დასძენს ბარიკელო.

მერაბ ლორთქიფანიძე

მსოფლიო ჩემპიონატის წინ

ცაბელს მუნდიალზე არ უშვებენ

საგზაო ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ არსურთ რბოლაში გერმანელი **ერიკ ცაბელის** დაშვება. ამის თაობაზე, პრესას აუწყა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა **სუსან აიზენმანმა**. მისი თქმით, ცაბელს დოპინგსკანდალით აქვს სახელი გატეხილი, რაც მის მიმართ ორგანიზატორთა უარყოფით დამოკიდებულებას განაპირობებს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ცაბელმა აღიარა, 1996 წლის სეზონში დოპინგს, კერძოდ კი ერითროპოიეტინს ვიყენებდიო. იმ სეზონში მან ტურ დე ფრანსზე საუკეთესო სპრინტერის მწვანე მაისურა მოიგო და შემდეგ, ეს წარმატება კიდევ ექვსჯერ გაიმეორა.

"მსოფლიო ჩემპიონატზე ზოგიერთი ველომრბოლის გამოსვლას შევეწინააღმდეგებით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენ სუფთა რბოლის მოწყობა გვსურს. მნიშვნელობა არ აქვს, შეიყვანს თუ გერმანიის ნაკრების ხელძღვანელობა ცაბელს ნაკრებში. ჩვენ მას რბოლაზე მაინც არ დავუშვებთ", - ამბობს აიზენმანი.

გერმანიის ველოსპორტის ფედერაციას ჯერ არ გადაუწყვეტია, შეიყვანოს თუ არა ნაკრებში ცაბელი, ვინც შარშან მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი გახდა. ფედერაციაზ ალბათ საბოლოო გადაწყვეტილებას აგვისტოს ბოლოს მიიღებს.

სხვათა შორის, მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს დოპინგთან ბრძოლის სპეციალური პროგრამა აქვთ შედგენილი, რომლის განხორციელებაშიც მათ პარტნიორობას გაუწევენ გერმანიისა და მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოები.

ცნობისთვის, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **ვოლფგანგ შლაუბემ** განაცხადა, რომ ჩემპიონატს ჩაშლის იმ შემთხვევაში, თუ ველოსპორტის საერთაშორისო და გერმანიის ფედერაციები არ დათანხმდებიან ჩემპიონატისთვის შემუშავებულ დოპინგსაწინააღმდეგო პროგრამას.

ეს პროგრამა კი ითვალისწინებს ჩემპიონატისწინა შემთხვევითი ტესტების ჩატარებას და ჩემპიონატის დროს სისხლისა და შარდის ანალიზების გაორმაგებას. გარდა ამისა, ყოველი რბოლის შემდეგ, იმ ველომრბოლებს, რომლებიც შემოწმებას დაექვემდებარებიან, საკონტროლო პუნქტამდე ორგანიზატორთა მიერ მივლენილი ოფიციალური პირები მიაცილებენ.

საგზაო ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი 26-30 სექტემბერს გერმანიის ქალაქ შტუტგარტში ჩატარდება.

მერაბ ლორთქიფანიძე

ტურნირები

როდიკიც გარეთ დარჩა

აშშ-ის ქალაქ ცინცინატიში მიმდინარე, მასტერსის სერიის ტურნირს კიდევ ერთი ფავორიტი, ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, ამერიკელი **ენდი როდიკი** გამოეთიშა. სამაგიეროდ, წინსვლას აგრძელებს მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი,** ვისაც მესამე წრეში კვიპროსელმა **მარკოს ბაღდატისმა** მედგარი წინააღმდეგობა გაუწია.

ფედერერი პირველ სეტში მდევრის როლში იყო. 5:6-ს რომ აგებდა, ოთხი სეტ პოინტი მოიგერია, რომელთაგან კვიპროსელმა ორი მის მიერვე დაშვებული ორმაგი შეცდომებით გაანიავა. მოკლედ, საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც შვეიცარიელმა 7:5 მოიგო.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მეორე სეტი, თუმცა მასში საქმე ტაიბრეიკამდე აღარ მისულა. მესამე სეტში ფედერერმა მეტოქის სერვისზე ქულა აიღო, მაგრამ მეათე გეიმში ბაღდატისმა ბრეიკი გაქვითა. მაგრამ იქვე,.თავის მოწოდებაზე დათმო ქულა და ამით, პრაქტიკულად, თამაშიც დათმო.

"ძალიან გამიჭირდა. ბურთის მიღებას ძლივს ვახერხებდი. საშინლად ცხელოდა, რამაც ორივეს საქმე კიდევ უფრო გაგვირთულა. არ ვიცი, სხვა დროს როგორ ვითამაშებდი, მაგრამ ახლა იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ მომდევნო წრეში გავედი. ჩემთვის ეს ნამდვილი გამოცდა იყო", - განაცხადა ფედერერმა, ვინც მეოთხედფინალში ესპანელ **ნიკოლას ალმაგროს** შეხვდება.

როდიკის მეტოქე ესპანელი **დავიდ ფერერი** იყო. ამერიკელმა თამაში თითქოს კარგად დაიწყო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ფერერი სულ უფრო აძლიერებდა ზეწოლას, რამაც საბოლოოდ სასურველი შედეგი მოუტანა. ესპანელმა მეტოქე უკანა ხაზს მიაჯაჭვა და მიუხედავად იმისა, რომ როდიკს მაინც მიეცა რამდენიმე შანსი, საბოლოოდ მაინც ფერერმია ივარგა.

პირველი სეტის მეათე გეიმში როდიკმა სამი სეტ პოინტი მიიღო, მაგრამ ყველა გაფლანგა. სეტი ტაიბრეიკზე გადავიდა, სადაც ესპანელი უფრო სტაბილური იყო და შესაბამისად, სეტიც მან მოიგო. მეორე სეტში კი გადამწყვეტი მეათე გეიმი გამოდგა, რომელშიც ფერერმა შეხვედრაში ერთადერთი ბრეიკის აღება შეძლო და ამით შეხვედრასაც წერტილი დაუსვა.

"ფერერმა კარგად ითამაშა. უკანა ხაზიდან კარგა შორს დგომა მიწევდა, რის გამოც შეტევაზე გადასვლა არ გამომდიოდა. ვერც ის რამდენიმე შანსი გამოვიყენე, რომლებიც მაინც გამიჩნდა. წაგების მიუხედავად, პანიკის საფუძველი მაინც არ მაქვს. კარგად ვიცი, რის გამოც წავაგე და ვეცდები, აქ დაშვებული შეცდომები შემდგომში არ გავიმეორო", - განაცხადა როდიკმა.

ფერერი კი მეოთხედფინალში რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** დაუპირისპირდება, ვინც იოლად დაძლია ჩეხი **ტომაშ ბერდიჩის** წინააღმდეგობა.

მეოთხედფინალში საინტერესო პაექრობაა მოსალოდნელი ესპანელ **კარლოს მოიასა** და ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტს** შორის. მოიამ, ვინც რეიტინგის მოწინავე ოცეულში ყველაზე ხნიერი (31 წლის) მეჩოგნეა, არგენტინელი თინეიჯერი **ხუან მარტინ დელ პორტო,** ეგრეთ წოდებული, "ქორის თვალის" დახმარებით დაამარცხა. მანამდე არგენტინელმა ოთხი მატჩ პოინტი მოიგერია, მაგრამ მშინ, როცა მსაჯმა ქულა ჩაუთვალა, ეს ქულა მოიამ გააპროტესტა და ვიდეოჩანაწერმა მისი პროტესტი დააკმაყოფილა.

ნამატჩევს მოიამ თავისი თამაშით კმაყოფილება გამოთქვა. მეორე სეტი რომ წავაგე, ეს იმის ბრალი იყო, რომ ზედმეტად მოვეშვი და მეტოქეს თამაშის საშუალება მივეციო. სხვათა შორის, მოია და ჰიუიტი აქამდე 11-ჯერ შეხვედრიან და აქედან 6 ესპანელს აქვს მოგებული. სამაგიეროდ, მათი ბოლო ოთხი დაპირისპირება ავსტრალიელის გამარჯვებით დასრულდა.

ტორონტოში მიმდინარე პირველი კატეგორიის ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი.** ამას თითქმის თვეა, არ უთამაშია, მაგრამ ტორონტოში მის გამოსვლას ეს სრულებითაც არ ეტყობა. მესამე წრეში მან ორ სეტში დაამარცხა ჩინელი **შუაი პენი.**

პენმა, ვისაც საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონი **მაიკლ ჩანგი** ავარჯიშებს, პირველ სეტში ჟუსტინს ბევრი პრობლემა შეუქმნა. ის თითქმის ყველა ქულისთვის ბოლომდე იბრძოდა. კარგა ხანს ბელგიელი ვერ ახერხებდა მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღებას. თუმცა მე-11 გეიმში მაინც შეძლო მეტოქის გატეხვა და სეტიც მოიგო. მეორე სეტი ჟუსტინმა თითქმის უბრძოლველად მოიგო - ამჯერად სამჯერ შეძლო ბრეიკის მოპოვება.

ჟუსტინი, ვინც ამ ტურნირზე წინა ორივე ვიზიტისას ფინალში უთამაშია, 2003 წელს კი ჩემპიონი გახდა, მეოთხედფინალში რუს **ნადეჟდა პეტროვას** დაუპირისპირდება, რომელმაც ტურნირი შვეიცარიელ **პატი შნიდერს** დაატოვებინა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ATP

ცინცინატი მასტერსი

ცინცინატი (აშშ, ოპაიო).
მასტერსის სერია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი

მესამე წრე

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 7:6(5), 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 16)**-ენდი როდიკი (აშშ, 3) 7:6(4), 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5)**-ტომაშ ბერდიჩი (ჩეხ, 10) 6:3, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 6:1, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-იურგენ მელცერი (ავსტ) 6:3, 6:3; **კარლოს მოია (ესპ)**-ხუან მარტინ დელ პორტო (არგ) 7:5, 3:6, 7:5; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:2, 6:2; **სემ ქვერი (აშშ)**-ხუან მონაკო (არგ) 6:3, 7:5

WTA

როჯერს კუპი

ტორონტო (კანადა)
პირველი კატეგორია. ჰარდი
საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

მესამე წრე

ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1)-შუაი პენი (ჩინ) 7:5, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-სიბილ ბამერი (ავსტ, 13) 6:2, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-მეგან შონესი (აშშ) 6:3, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 6)**-პატი შნიდერი (შვეი, 10) 6:4, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 7)**-დინარა საფინა (რუს, 9) 6:2, 6:7(2), 6:0; **ვირჟინი რასანო (საფ)**-შაჰარ პეერი (ისრ, 11) 6:4, 6:3; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 12)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:2, 6:0; **ძი იანი (ჩინ)**-ელენი დანიილიდუ (საბ) 6:3, 5:7, 7:6(5)

როჯერ ფედერერი

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალბეგიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოტა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ.: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე. ბარდა კვირისა